11/04/2025

MES 5 25 0000402322

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2025 წლის 4 აპრილს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=85226830258
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი - საბჭოს თავმჯდომარე;
ხათუნა ჩხარტიშვილი - სს "გუდვილის" HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნათია ბუთხუზი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი / საბჭოს მდივანი;
გიორგი ვეკუა - სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;
დავით ჯინჭარაძე - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი / საბჭოს წევრი;
ანა არუშიძე - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი / საბჭოს წევრი;
ეკატერინე გიგაშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;
გოჩა გოგიტიძე - სსიპ - სასწავლოს უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი / საბჭოს წევრი;
გოგიტა მშვენიერაძე - ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ "კონტრუქტ2"-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი / საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნია გუგუნავა - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ელისო ბარბაქაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.
ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

- ელენე კაკაბაძე
- ნინო ბეგლარაშვილი
- ხათუნა ურუშაძე
- დიანა გახარია
- ალექსანდრე კეკენაძე
- მანანა მოისწრაფიშვილი
- ქრისტინე ახალაძე
- შორენა ხუბუნაია
- თინათინ მეფარიშვილი
- გიორგი მამასახლისი
- ნინო თამაზაშვილი
- ირმა არსენაშვილი

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯი
დირექტორი - თეიმურაზ ლორთქიფანიძე;
ხარისხის მართვის მენეჯერი - ნინო ძაგანია.

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი
დირექტორი - მამუკა ჭყონია;
ხარისხის მართვის მენეჯერი - ნატალია ბარათელი.

სსიპ კოლეჯი "სპექტრი“
დირექტორის მოადგილე - ვარლამ ავალიშვილი;
დირექტორის მოადგილე - თეიმურაზ მაჩაიძე;
ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - თამარ ხატიაშვილი.

შპს "საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი“
ხარისხის მართვის მენეჯერი - სოფო ყულეჯიშვილი.

შპს მარნეულის კოლეჯი
აკადემიური დირექტორი - ნინო გომელაური;
დირექტორის მოადგილე ადმინისტრირების დარგში - სოფიო გომელაური.
მარნეულის კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი -იამზე ახალკაციშვილი;
მარნეულის კოლეჯის სტრატეგიული მენეჯერი - შორენა ალაგარდაშვილი.

სსიპ კოლეჯ "გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“
დირექტორი - ნოდარ ხარაზიშვილი;
დირექტორის მოადგილე - მაია ომიაძე;
ხარისხის მართვის მენეჯერი - თამარ გიორგობიანი.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 12:00 საათი.

ქალბატონი ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი
1. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს "მარნეულის სამედიცინო კოლეჯის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ვეტერინარია" მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს "მარნეულის სამედიცინო კოლეჯის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „საექთნო საქმე“, „ფარმაცია (სააფთიაქო)“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ კოლეჯ "სპექტრის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "რკინაბეტონის სამუშაოთა შესრულება" მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
5. შპს "საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის" მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
6. შპს მარნეულის კოლეჯისთვის "მასაჟის თერაპიის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
7. სსიპ კოლეჯ "გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „Front-end დეველოპმენტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით.

ცენტრმა მიმართა საბჭოს შუამდგომლობით დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით, მეექვსე საკითხი განხილულიყო პირველ საკითხად, ვინაიდან რიგი მიზეზების გამო ექსპერტი ვერ ახერხებდა დღის წესრიგის მეექვსე საკითხის წარდგენას გათვალისწინებულ დროში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, იყვნენ თუ არა თანახმა, რომ აღნიშნული საკითხი განხილულიყო პირველ საკითხად, რაზეც საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრებმა სიტყვიერად თანხმობა განაცხადეს.

განახლებული დღის წესრიგი:
1. შპს მარნეულის კოლეჯისთვის "მასაჟის თერაპიის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს "მარნეულის სამედიცინო კოლეჯის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ვეტერინარია" მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს "მარნეულის სამედიცინო კოლეჯის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „საექთნო საქმე“, „ფარმაცია (სააფთიაქო)“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ კოლეჯ "სპექტრის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "რკინაბეტონის სამუშაოთა შესრულება" მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
6. შპს "საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის" მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
7. სსიპ კოლეჯ "გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „Front-end დეველოპმენტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: შპს მარნეულის კოლეჯისთვის "მასაჟის თერაპიის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო ბეგლარაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 5 მარტის N239405 ბრძანების საფუძველზე „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით შპს მარნეულის კოლეჯში (მისამართი: ქალაქი მარნეული, 26 მაისის ქუჩა №80). ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 17 მარტს. შპს მარნეულის კოლეჯმა გააკეთა განაცხადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მასაჟის თერაპიის“ დამატების შესახებ. ვიზიტში მონაწილეობა მიიღეს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნინო ბეგლარაშვილმა და დარგის ექსპერტმა - ხათუნა ურუშაძემ.

ვიზიტი მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში წარიმართა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტამდე განხორციელდა დოკუმენტაციის შესწავლა, ვიზიტის დროს კი დამატებითი ინფორმაციის მოსაპოვებლად ჩატარდა ინტერვიუები დაწესებულების ადმინისტრაციის წევრებთან, ხელმძღვანელობასთან, ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელთან, დასამატებელი პროგრამის ხელმძღვანელსა და განმახორციელებლებთან. დაწესებულებამ უზრუნველყო ვიზიტის დროს მოთხოვნილი დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა დაწესებულების ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი, რომელიც პროგრამის განხორციელებისთვისაა საჭირო.

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება
შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება
სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნების მიზნით, სასურველია, დაწესებულებამ დაამატოს სხვა ლიტერატურაც მასაჟის მიმართულებით, დარგობრივი მოდულების ეფექტიანად განსახორციელებლად.
სასურველია, დარგობრივი კომპეტენციის გაძლიერებისა და განახლებული პროფესიული ცოდნის მიღების მიზნით, დაწესებულებამ პერმანენტულად იზრუნოს განმახორციელებლების პროფესიულ განვითარებაზე.
სასურველია, დაწესებულებამ იზრუნოს პროგრამის ხელმძღვანელის პროფესიულ განვითარებაზე აღნიშნული ფუნქციების ეფექტიანად შესრულებისათვის.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები
ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მასაჟის თერაპიის“ განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსები

ნამდვილად უზრუნველყოფს წინასწარ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა დეტალური ჩამონათვალი იმ რესურსებისა, რომლებიც საჭიროა პროგრამით განსაზღვრული მოდულების მისაღწევი შედეგების დასაფარად. დაწესებულებას პროგრამის „მასაჟის თერაპია“ განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს A, B და C გარემო. A გარემოსთვის - ერთი აუდიტორია, რომელიც აღჭურვილია საჭირო რესურსით 20 სტუდენტისთვის. კერძოდ, დაწესებულებას მფლობელობაში აქვს აღნიშნული რაოდენობის შესაბამისი მაგიდა და სკამი, 1 კომპიუტერი, 1 დაფა, 1 პროექტორი და 1 მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი). B გარემოსთვის - ერთი აუდიტორია, რომელიც აღჭურვილია საჭირო რესურსით - გამართულია 20 კომპიუტერი სტუდენტებისთვის და ერთი მასწავლებლისთვის. C გარემოსთვის - ორი აუდიტორია - სპეციალიზირებული პრაქტიკის აუდიტორია, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით “მასაჟის თერაპიის” პრაქტიკული მეცადინეობებისთვის და ასევე, აუდიტორია პირველადი დახმარების შესწავლისთვის, შესაბამისი ინვენტარითა და აღჭურვილობით. ვინაიდან დაწესებულება გეგმავს სტუდენტთა ორ მიღებაზე განაწილებას (პირველი მიღება 20, მეორე მიღება - 20), აღნიშნული მატერიალური რესურსი იძლევა პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევის შესაძლებლობას, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. მოწყობილია სამკითხველო სივრცე. ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დაწესებულების სასწავლო გარემო ადაპტირებულია სსსმ პირებისთვის, რაც დაწესებულებას აძლევს საშუალებას, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ სტუდენტისთვის მოახდინოს სასწავლო რესურსების ადაპტირება, მისი ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი (17 სტუდენტი). პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, რომელსაც რენტაბელობის ზღვრის შესაბამისი შემოსავლები სრულად ფარავს. პროგრამის ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კოლეჯის ინფრასტრუქტურა ქმნის უსაფრთხო სასწავლო გარემოს. დაწესებულებამ წარმოადგინა შენობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისი მტკიცებულებები. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ განხორციელდა პროგრამის საფრთხეებისა და რისკების შეფასება. უსაფრთხოების საკითხები დაწესებულების მიერ გათვალისწინებულ იქნა სასწავლო გარემოს მოწყობისას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „მასაჟის თერაპია“

ექსპერტის განცხადებით, „მასაჟის თერაპიის“ პროგრამის დამატების არგუმენტაცია ეყრდნობა რამდენიმე მტკიცებულებას. უპირველეს ყოვლისა, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის MES 7 25 0000130740 ბრძანებით ჯანდაცვის მიმართულების პროგრამები განისაზღვრა, როგორც პრიორიტეტული, ასევე პროგრამის დამატება პასუხობს კოლეჯის მისიას, რადგან ის ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის კადრის მომზადებას მრავალპროფილური პროგრამების შეთავაზებით. გარდა ამისა, აღნიშნული პროგრამის განხორციელების აქტუალობა საბუთდება შპს მარნეულის კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ჩატარებული დამსაქმებლის კვლევის შედეგებით, ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 4 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელთაგან არცერთი არ ახორციელებს მასაჟისტის სადიპლომო პროგრამას. შესაბამისად, დაწესებულებას აქვს საფუძველი ივარაუდოს, რომ პროგრამის დამატების შემთხვევაში, პოტენციური მსურველები სწორედ აღნიშნული დაწესებულების პროგრამით დაინტერესდებიან, რაიონში ამ მიმართულებით კონკურენტული დაწესებულების არარსებობის გამო. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება პროგრამის სტანდარტით განსაზღვრულ წინაპირობებს.

დაწესებულებას რაიმე სპეციფიკური მოთხოვნა დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით არ გააჩნია და იმეორებს პროგრამის სტანდარტით გათვალისწინებულ წინაპირობას, კერძოდ, სრული ზოგადი განათლებასა და არანაკლებ 18 წლის ასაკს. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ "სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით". 2025 წლის N1577 ბრძანებით კი დაწესებულების დირექტორმა განისაზღვრა და დამტკიცდა "მასაჟის თერაპიის" პროგრამაზე მისაღები სტუდენტების ზღვრული ოდენობა, პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამების სპეციფიკის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, პრაქტიკის ობიექტებისა და პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განთლების მასწავლებელთა რაოდენობის გათვალისწინებით. პროგრამის დამატების შემთხვევაში, სასწავლო გარემოდ განისაზღვრა A, B და C გარემო, რომლებშიც პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობაა - 20. კვირეული საათობრივი დატვირთვისა და მოდულების განხორციელებისთვის საჭირო გარემოს სპეციფიკის გათვალისწინებით, პროგრამის განხორციელება ნამდვილად შესაძლებელია 40 სტუდენტზე, რადგან დაწესებულების განცხადებით, ისინი თავდაპირველ მიღებას გეგმავენ ორ ეტაპად - 20-20 პროფესიული სტუდენტისთვის, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო ცხრილის აწყობას ისე, რომ ორივე მიღების ფარგლებში ჯამში 40 სტუდენტზე გადანაწილდეს შესაბამისი გარემოს გამოყენება.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას პროგრამის ფარგლებში განსახორციელებლად აქვს გათვალისწინებული არჩევითი მოდული „ესთეტიკური მასაჟი", რომელიც ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან. აღნიშნული მოდული გათვალისწინებულია პროგრამის დამტკიცებული სტანდარტით, რაც ასევე ადასტურებს მისი განხორციელების მიზანშეწონილობას. საგანმანათლებლო პროგრამა „მასაჟის თერაპია" კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად შემუშავებულია სამუშაო ჯგუფის მიერ და დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - დირექტორის ბრძანებით (ბრძანება #1543, 03/02/2025). პროგრამის სახელწოდება იდენტურია შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული სახელწოდებისა ("მასაჟის თერაპია") და მისი შინაარსი და სწავლის შედეგებიც თანხვედრაშია აღნიშნულ დოკუმენტთან. გარდა ამისა, პროგრამაში შეტანილი მოდულების შინაარსი სრულად შეესაბამება აღნიშნული სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება, როგორც დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ შიდა რეგულაციებს, ასევე კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებსა და პროგრამის სტანდარტს - მასაჟის თერაპია, Massage Therapy, სარეგისტრაციო ნომერი 09.2.1 აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე. განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, დაშვების წინაპირობები, პროგრამის განხორციელების მიზნები, ხანგრძლივობა და მისანიჭებელი კვალიფიკაცია. პროგრამა მოიცავს სასწავლო გეგმას, რომელიც შეესაბამება კანონმდებლობას და განსაზღვრავს სტუდენტის კვირეულ დატვირთვას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მასაჟის თერაპიის" განხორციელების მიზნით, დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიული განათლების მასწავლებელი (თითო მოდულზე განსაზღვრულია ორი ან მეტი განმახორციელებელი), არცერთი მასწავლებლისათვის კვირეული დატვირთვა არ აჭარბებს 40 საათს და ჩანს, რომ პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა და მათი დატვირთვა ადეკვატური და საკმარისი იქნება საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად. პროფესიული განათლების მასწავლებელს უნდა ჰქონდეს დარგის მიმართულებით ან უმაღლესი განათლება, ან პროფესიული განათლება, ან სულ მცირე ორწლიანი სამუშაო გამოცდილება, ან გადამზადების დოკუმენტი, ან შესაბამისი მომზადება/სერტიფიცირება. პროფესიულ მასწავლებლებს გააჩნიათ შესაბამისი მოდულების განხორციელების თეორიული და პრაქტიკული კომპეტენცია. პროგრამის თითოეულ მოდულს ახლავს რეკომენდაციები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული

შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა „მასაჟის თერაპია“ ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა (მათ შორის, კომპიუტერული ტექნოლოგიების) და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროგრამა არ ითვალისწინებს სწავლის შედეგების მიღწევას პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტზე. შპს მარნეულის კოლეჯში პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემა რეგულირდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. კოლეჯს დამტკიცებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი. რომლის მიხედვითაც შიდა ვერიფიკაციის პროცესი ხორციელდება სამი მიმართულებით: შეფასების პროცესში გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, შეფასების პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია, რომ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული შეფასების მტკიცებულებები 3 წლის ვადით უნდა ინახებოდეს კოლეჯში, პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოებულ სტუდენტის პორტფოლიოში/ელექტრონულ საცავში, ხოლო შეფასების უწყისების შენახვა ხდება ცალკე, უვადოდ, სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას პროგრამის ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილში, საგანმანათლებლო პროგრამები და 2.2 კომპონენტის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი, მონიშნული აქვს მეტწილ შესაბამისობაში საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით განემარტა, თუ რამ განაპირობა დაწესებულების მიერ მეტწილი შესაბამისობის ველის მონიშვნა.

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას ჰქონდა შესაბამისობის გეგმა, რამდენადაც, როდესაც განაცხადი გააკეთეს იმ ეტაპისთვის შესყიდული რესურსის მიწოდებს ვადა არ იყო დასრულებული, რამაც გამოიწვია მეტწილი შესაბამისობის გრაფის მონიშვნა. , ექსპერტთა ვიზიტის დროს აღნიშნული რესურსი უკვე ადგილზე დახვდა ექსპერტებს. დაწესებულებამ ასევე, წარმოადგინა მიღება- ჩაბარების აქტიც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით ექსპერტს, იქედან გამომდინარე, რომ ექსპერტების მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია ჰქონდა თუ არა მასწავლებლებს და პროგრამის ხელმძღვანელს სწავლების, შეფასების გამოცდილება, თუ მხოლოდ პრაქტიკოსები არიან ან აღნიშნული რეკომენდაცია მხოლოდ მათი ცოდნის გაღრმავებას ემსახურება.

დარგის ექსპერტის განმარტებით, აქამდე არ არსებობდა მასაჟისტის პროფესიული და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტები და არც კვალიფიკაციის მინიჭება ხდებოდა, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნია რეკომენდაცია მიეცა დაწესებულებისთვის, რომ შემოიტანოს სიახლეები დატრენინგების თვალსაზრისით და ასევე, მისი თქმით აუცილებელია არსებული, ტრადიციული ცოდნის გაღრმავებაც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, მიმართ კითხვით ექსპერტს, დასკვნაში აღწერილია , რომ ერთი A გარემო არის 20 კაციანი აუდიტორია და აღნიშნულია, რომ დაწესებულება სტუდენტებს ორ ეტაპად მიიღებს მიმდინარე წელს 20 სტუდენტი, ხოლო - 20 შემდეგი წლისთვის, მისი თქმით საინტერესოა ექსპერტების მიერ აღნიშნული საკითხი თუ იქნა შესწავლილი.

ექსპერტის განმარტებით, პირველ ეტაპზე დაწესებულება 20 სტუდენტს მიიღებს ხოლო შემდგომ სწავლება განხორციელდა A, B და C გარემოებების მონაცვლეობის რეჟიმში. ეს რეჟიმი ითვალისწინებს იმას, რომ მსმენელები ჯერ გაივლიან ძირითად კურსებს, რის შემდეგაც მათ ექნებათ შესაძლებლობა, მონაცვლეობით ჩაერთონ მომდევნო მოდულებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სამართლიანი, ძალიან კორექტული და პროფესიონალი ექსპერტები იყვნენ და აღნიშნა, რომ დაწესებულება ვიზიტის მსვლელობის პროცესშივე დაეთანხმა იმ განმავითარებელ შეფასებებს, რაც ექსპერტების მიერ იყო გაცემული და მათ უკვე დაწყებული აქვთ ამ მიმართულებით მუშაობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მარნეულის კოლეჯისთვის "მასაჟის თერაპიის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 9
წინააღმდეგი : 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს მარნეულის კოლეჯს (ს/კ: 234158498) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული "მასაჟის თერაპია" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 1).**

მეორე საკითხი: სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, შორენა ხუბუნაია, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის მიერ დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ა", "გ", "დ", "ე" ქვეპუნქტებისა და „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ''სპორტის ინსტრუქტორი'' შემოწმების მიზნით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 09 დეკემბრის MES 7 24 0001586079 ბრძანების (ბრძანების ცვლილება MES 1 24 0001622649, 17.12.2024, MES 3 24 0001638022, 20.12.2024) საფუძველზე, ამავე ბრძანებით შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს შემადგენლობით - შორენა ხუბუნაია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე), თინათინ მეფარიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (წევრი), გიორგი მამასახლისი - დარგის ექსპერტი (წევრი)დაევალა მიმდინარე წლის 23, 24 და 26 დეკემბერს დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტის განხორციელება ქ. თბილისში, ე. ნინოშვილის ქ. 55 და ქ. ქუთაისში, გაპონოვის ქ. 11., სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტი სახელმწიფო კოლეჯში.
სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ზემოხსენებულ ბრძანებებს, კოლეჯის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, კოლეჯის ვებგვერდსა და მასზე განთავსებულ ინფორმაციას, კოლეჯში განხორციელებული ბოლო ვიზიტის დასკვნებსა და საოქმო გადაწყვეტილებას. 2024 წლის 23 და 24 დეკემბერს ქ. თბილისში, ხოლო 26 დეკემბერს ქ. ქუთაისში ექსპერტთა ჯგუფმა, ცენტრის წარმომადგენელთან ერთად, განახორციელა ვიზიტი კოლეჯში. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით დაწესებულების პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, გაესაუბრა კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალს, პროფესიულ სტუდენტებს (29 პირი, მათ შორის ქუთაისის მისამართზე 20 პროფესიული სტუდენტი), პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელებს (სულ12, მათ შორის ქუთაისის მისამართზე 7 პროფესიული განათლების მასწავლებელი), პროგრამების განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს (4, მათ შორის ქუთაისის მისამართზე 2 ობიექტის წარმომადგენელი). პროგრამას კურსდამთავრებული ჯერ არ ჰყავს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა კოლეჯის ინფრასტრუქტურა და სასწავლო გარემო, ორივე მისამართზე, სრულად იქნა შესწავლილი კოლეჯის მიერ ძირითადი და დამხმარე პროცესების

დაგეგმვა-ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები და წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტი. დაწესებულებამ მიმდინარე წლის 31 იანვრის MES 1 25 0000089039 კორესპოდენციით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რის მიხედვითაც გაიზიარა ექსპერტთა დასკვნის პროექტში მოყვანილი გარემოებები და წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით განსაზღვრული აქტივობების შესრულებისთვის დაწესებულებას განსაზღვრული ვადა არ აღემატება 15 თვეს. ექსპერტთა მიერ შეფასებულია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა და შედეგები ასახულია წინამდებარე დასკვნაში შესაბამისი სტანდარტის შეფასებისას. რადგანაც, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2024 წლის 22 აგვისტოს სხდომაზე განხილულ იქნა სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის მიერ „სპორტის ინსტრუქტორის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხები ქ. ქუთაისის და ქ.თბილისის მისამართებზე.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით 2.4 კომპონენტის შემოწმების მიზნით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან „სპორტის ინსტრუქტორის“ მიმართებით ორივე მისამართთან დაკავშირებით. ასევე, საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით 4.1, 5.1 კომპონენტების (ქ. ქუთაისი) და 4.1 კომპონენტის შემოწმების მიზნით (ქ.თბილისი). მონიტორინგის განხორციელების პერიოდად განისაზღვრა 2024 წლის 16 დეკემბერი, ამ პერიოდისთვის, უკვე დაგეგმილი იყო კოლეჯში გეგმიური მონიტორინგი, საბჭოს მიერ ჩანიშნული მონიტორინგი აღარ განხორციელებულა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების საკითხები. კერძოდ:

შესაბამისობის რეკომენდაციები

ინდიკატორი 2.4.2.1 - შეფასების რეგულაცია ასევე უნდა ფარავდეს ისეთ საკითხებს როგორიცაა: განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი. კოლეჯში პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არ არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური - **შესრულებულია.**

ინდიკატორი 2.4.2.2 - დაწესებულების მიერ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემაში ვერიფიკაციის მექანიზმი არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი და მისი შესრულების შერჩევისას ინტერესთა კონფლიქტი არ არის გამორიცხული - **შესრულებულია.**

ინდიკატორი 2.4.2.4 - პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება, თუმცა ქუთაისის ფილიალისათვის დაწესებულებას პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელების პრაქტიკა არ გააჩნია და არც სასწავლო პროცესის მენეჯერი არ ახორციელებს პერმანენტული შეფასების შედეგების ანალიზს და პერიოდული ანგარიშების წარდგენას დირექტორის ან შესაბამისი პირის მიმართ შემდგომი რეაგირებისთვის. ძნელი დასადგენია განხორციელდება თუ არა შესაბამისი რეაგირება (დამატებითი მეცადინეობები, განმავითარებელი შეფასებები, კონსულტაციები და სხვ.) და შედეგების გამოყენება მათი შემდგომი განვითარებისთვის, არც მექანიზმებშია გაწერილი შეფასების შედეგების ანალიზისა და ანგარიშგების წესი - **შესრულებულია.**

განმავითარებელი რეკომენდაცია

ინდიკატორი 2.2.1.3 - დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია გადაამზადოს მასწავლებლები პროფესიული განათლების სწავლებისა და შეფასების მიმართულებით - **შესრუ ლებულია ნაწილობრივ.**

მოცემული რეკომენდაცია ისევ აქტუალურია, მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლებს ჩაუტარდათ როგორც შიდა, ისე გარე ტრენინგები ხარისხის უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის, კალენდარული გეგმების შედგენისა და

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების თემატიკაზე, პროფესიული განათლების მასწავლებლები ნაკლებად არიან ინფორმირებულები სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების საკითხებზე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოცემული რეკომენდაცია ასევე გაცემულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიმდინარე წარმოების ფარგლებში.

ინდიკატორი 2.4.1.5 - „სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან“ და „შპს არენასთან“, გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 20-20 სტუდენტის ერთდროული მიღება სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათების შესაბამისად, თუმცა ხელშეკრულებაში არ არის განსაზღვრული კვირაში რამდენი საათი არის დათმობილი პროგრამით განსაზღვრული მოდულებისათვის; უმჯობესია დაწესებულებამ დააზუსტოს მსგავსი გარემოებები ხელშეკრულებაში. პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ისინი ვერ ცნობენ ხელშეკრულების პირობებს და ცალსახად ეჭვს ჰბადებს შეთანხმების სიზუსტეზე; დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ხელშეკრულებაში განსაზღვროს დამატებითი პირობები, რომლის შედგენის პროცესში უფრო მეტად იქნება ჩართული პარტნიორი ორგანიზაცია და ერთობლივად მიიღონ გონივრული გადაწყვეტილებები - **შესრულებულია ნაწილობრივ.**

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართული ობიექტების წარმომადგენლებს. ისინი ფლობდნენ ინფორმაციას კოლეჯთან თანამშრომლობის საკითხებზე. პროფესიული სტუდენტები უკვე დადიან პრაქტიკის ობიექტებზე და ადგილზე ხორციელდება მათი სწავლება. თუმცა, დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი შეფასება, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართულ ობიექტებთან კოოპერაციული სწავლების ხელშეკრულების გაფორმებისას დაიცვას „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილების მოთხოვნები. ახალი ხელშეკრულებების გაფორმებისას, დაწესებულებამ აღნიშნული რეკომენდაცია ნაწილობრივ გაითვალისწინა და ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში გააფორმა კოოპერაციული ხელშეკრულებები მოდულის - „სპორტის სახეობები“ ფარგლეში.

შესაბამისობის რეკომენდაცია

დაწესებულებაში საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება პროფესიულ სტუდენტებს არ შეუძლიათ სათანადო ინვენტარით, კომპიუტერებით და პრინტერით, რადგანაც დაწესებულებას არ გააჩნდა შესაბამისი სამკითხველო დარბაზი, შესაბამისი ინვენტარით. პროფესიულ სტუდენტებს არ ექნებათ საშუალება მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით, ისარგებლონ სამკითხველო სივრცით და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა, რადგანაც საშტატო ერთეულითაც არ არის განსაზღვრული შესაბამისი პირი; გასაუბრებისას დადგინდა, რომ ბიბლიოთეკარის კომპეტენციას ითავსებს სასწავლო პროცესის კოორდინატორი, თუმცა დაწესებულებას არ წარმოუდგენია პირადი საქმე და განსაზღვრული პირის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასევე ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობები; ექსპერტთა ჯგუფის ანალიზით დგინდება, რომ ეს პროცესი არ იყო წესრიგში სასურველია მოხდეს მონიტორინგი 4.1 -ისა და 5.1 კომპონენტის ნაწილში, რადგანაც ეს ბმაშია 2.2.1.5 ინდიკატორთან. მიუხედავად იმისა რომ ექსპერტთა შემოწმების ფარგლებს ცდებოდა აღნიშნული ვიზიტი ექსპერტების მიერ დათვალიერდა ე.წ. სატვირთო ლიფტი და სველი წერტილები, რომელიც სრულიად შეუსაბამო იყო, რადგანაც სატვირთო ლიფტს არ გააჩნდა ერთი კედელი და მისი მუშაობის პროცესში გამოვლიდნა არაუსაფრთხო გარემო-პირობები, ასევე არ იყო ადაპტირებული სველი წერტილები, კერძოდ, შესასვლელი კარის სიგანე არ შეესაბამებოდა ეტლით

მოსიარულეთათვის სარგებლობის შესაძლებლობას, არ იყო სათანადოდ უზრუნველყოფილი პანდუსები. ექსპერტთა მოსაზრებით უმჯობესია ჩატარდეს მონიტორინგი 5.1 კომპონენტის ნაწილში, რადგანაც ეს კომპონენტი ცალსახად ბმაშია 2.2.1.6 ინდიკატორთან.
აღწერაში მოცემული გარემოებები **ნაწილობრივ გაუმჯობესებულია,** თუმცა რიგი საკითხები საჭიროებს მოწესრიგებას, რაც დეტალურად აღწერილია წინამდებარე დასკვნაში მეოთხე და მეხუთე სტანდარტის ფარგლებში.
ინდიკატორი 2.4.2.1 - დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, თუმცა ამ ინდიკატორის მოთხოვნების შესრულების მიზნები არ აქვს განსაზღვრული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტთა გადამოწმებით შეფასების სისტემა არ შეესაბამება ვალიდაციის წესებს და არ გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს - **შესრულებულია.**
ინდიკატორი 2.4.2.2 - დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილია ინდიკატორი 2.4.2.2-ის შესრულების პირობები ვალიდაციის ჭრილში და არა ვერიფიკაციის ნაწილში, რაც ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით ეჭვს აჩენს ამ ინდიკატორის მოთხოვნების შესრულებაზე. დაწესებულებას სწორად არ აქვს დანახული ვალიდაცია და ვერიფიკაცია ურთიერთმიმართებით; თანმიმდევრობა და შინაარსი არ არის თანხვედრაში. ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული, რადგან დაწესებულების მიერ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემაში ვერიფიკაციის მექანიზმი არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი და მისი შემსრულების შერჩევისას ინტერესთა კონფლიქტი არ არის გამორიცხული - **შესრულებულია.**
ინდიკატორი 2.2.1.4 - ინდიკატორის მოთხოვნა ექსპერტთა შეფასებით არ არის დაკმაყოფილებული. დაწესებულებამ ქუთაისის ლოკაციისათვის პროგრამის ხელმძღვანელად განსაზღვროს სხვა პირი. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც მითითებულია, რომ ორი (2) თვის განმავლობაში დანიშნავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროგრამის ხელმძღვანელს; ექსპერტთა შეფასებითა და შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით ხარვეზი შეიცვალა შესაბამისობის რეკომენდაციით და ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილადაა შეფასებული - **შესრულებულია.**

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება
ინდიკატორი 4.1.1.2 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულებამ უზრუნველყოს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების რელევანტური განაწილება და სტრუქტურული ერთეულების დაქვემდებარება განსაზღვროს იმგვარად, რომ უზრუნველყოს პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების ეფექტიანი შესრულება. განახორციელოს დაწესებულების პერსონალის მართვის პროცესის შიდა მარეგულირებელი აქტების რევიზია და საქმიანობაში დაიცვას საკუთარი რეგულაციით განსაზღვრული პროცედურა, რომელიც ამავდროულად იქნება შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნებთან, კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 05 თებერვლის №03-01 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის (აქტივობა N1) თანახმად, რომლის შესრულების ვადად განსაზღვრული აქვს 4 თვე. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულების მიერ სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების რელევანტური განაწილებისა და სტრუქტურული ერთეულების დაქვემდებარების რელევანტურად განსაზღვრისათვის, ასევე პერსონალის მართვის პროცესის შიდა მარეგულირებელი აქტების რევიზიისათვის შესაბამისობის გეგმაში მოცემული დრო რელევანტურია და 4 თვეში შესრულებადია, ასევე მნიშვნელოვანია დაწესებულებამ საქმიანობაში დაიცვას საკუთარი რეგულაციით განსაზღვრული პროცედურა, რომელიც ამავდროულად იქნება შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. ვრცლად იხილეთ 4.1.1.2 ინდიკატორის აღწერა.
ინდიკატორი 4.1.1.3 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულებამ კოლეჯში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების ფუნქციები განსაზღვროს იმგვარად,

რომ გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი, განახორციელოს დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტების რევიზია და საქმიანობაში დაიცვას საკუთარი რეგულაციით განსაზღვრული პროცედურა, რომელიც ამავდროულად იქნება შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნებთან, კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 05 თებერვლის №03-01 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდატებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის (აქტივობა N2)თანახმად, რომლის შესრულების ვადად განსაზღვრული აქვს 4 თვე. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულების მიერ კოლეჯში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების ფუნქციების რელევანტურად განსაზღვრისა და შიდა მარეგულირებელი აქტების რევიზიისთვის შესაბამისობის გეგმაში მოცემული დრო რელევანტურია და 4 თვეში შესრულებადია, მთავარია დაწესებულებამ გააგრძელოს საქმიანობა მოცემული მიდგომების გათვალისწინებით. ვრცლად იხილეთ 4.1.1.3 ინდიკატორის აღწერა.

ინდიკატორი 5.1.1.1 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულებამ ქ. ქუთაისის ფილიალში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გადაადგილებისთვის უზრუნველყოს უსაფრთხო და გამართული ლიფტის ფუნქციონირება, რომელიც დადასტურებული იქნება უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული დადებითი დასკვნით, კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 05 თებერვლის №03-01 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის (აქტივობა N3) თანახმად, რომლის შესრულების ვადად განსაზღვრული აქვს 4 თვე. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულების მიერ ქ. ქუთაისის ფილიალში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გადაადგილების მიზნით უსაფრთხო და გამართული ლიფტის ფუნქციონირებისთვის, რომელიც დადასტურებული იქნება უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული დადებითი დასკვნით, შესაბამისობის გეგმაში მოცემული დრო რელევანტურია და 4 თვეში შესრულებადია, მთავარია დაწესებულებამ გააგრძელოს უსაფრთხოების დაცვის მიზნით რისკების სწორი შეფასება და პრევენციული ღონისძიებების განხორციელება. ვრცლად იხილეთ 5.1.1.1 ინდიკატორის აღწერა.

ინდიკატორი 5.1.1.4 ნაწილობრივ არის დაკმაყოფილებული, დაწესებულებამ ქ. ქუთაისში დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობაში უზრუნველყოს ცენტრალური გათბობის სისტემის მონტაჟი, კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 05 თებერვლის №03-01 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდატებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის (აქტივობა N9) თანახმად, რომლის შესრულების ვადად განსაზღვრული აქვს 15 თვე. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ქ. ქუთაისში დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ შენობა-ნაგებობაში ცენტრალური გათბობის სისტემის მონტაჟისთვის შესაბამისობის გეგმაში მოცემული დრო რელევანტურია და 15 თვეში შესრულებადია. ვრცლად იხილეთ 5.1.1.4 ინდიკატორის აღწერა.

ინდიკატორი 5.1.1.5 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულებამ ორივე ლოკაციაზე უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების მექანიზმების განხორციელება, მათ შორის კანონმდებლობის შესაბამისად სერტიფიცირებულ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებთან თანამშრომლობა, შრომის უსაფრთხოების პოლიტიკისა და პროცედურების განსაზღვრა და პრაქტიკაში განხორციელება, კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 05 თებერვლის №03-01 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის (აქტივობა N4, 5) თანახმად, რომლის შესრულების ვადად განსაზღვრული აქვს 3 თვე. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულების მიერ ორივე ლოკაციაზე კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების მექანიზმების განხორციელების, მათ შორის კანონმდებლობის შესაბამისად სერტიფიცირებულ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებთან თანამშრომლობისთვის, შრომის უსაფრთხოების პოლიტიკისა და პროცედურების განსაზღვრისა და პრაქტიკაში განხორციელების დაწყებისთვის შესაბამისობის გეგმაში

მოცემული დრო რელევანტურია და 3 თვეში შესრულებადია, თუმცა მთავარია დაწესებულებამ გააგრძელოს შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული პროცედურების პრაქტიკაში განხორციელება. ვრცლად იხილეთ 5.1.1.5 ინდიკატორის აღწერა.

ინდიკატორი 5.1.2.2. მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულებამ ქ. ქუთაისის ბაზაზე უზრუნველყოს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმების განხორციელება, განსაზღვროს შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირი, კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 05 თებერვლის №0301 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდატებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის (აქტივობა N6) თანახმად, რომლის შესრულების ვადად განსაზღვრული აქვს 4 თვე. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულების მიერ ქ. ქუთაისის ბაზაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმების განხორციელებისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირის განსაზღვრისათვის შესაბამისობის გეგმაში მოცემული დრო რელევანტურია და 4 თვეში შესრულებადია. ვრცლად იხილეთ 5.1.2.2 ინდიკატორის აღწერა.

ინდიკატორი 5.1.2.3. მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულებამ ორივე ლოკაციაზე უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმის ამოქმედება, კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 05 თებერვლის №03-01 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის (აქტივობა N7) თანახმად, რომლის შესრულების ვადად განსაზღვრული აქვს 4 თვე. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულების მიერ ორივე ლოკაციაზე კანონმდებლობით დადგენილი საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმის ამოქმედებისათვის, შესაბამისობის გეგმაში მოცემული დრო რელევანტურია და 4 თვეში შესრულებადია. ვრცლად იხილეთ 5.1.2.2 ინდიკატორის აღწერა.

ინდიკატორი 5.2.1.2. მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულება ორივე ლოკაციაზე უზრუნველყოს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვა, კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 05 თებერვლის №03-01 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის (აქტივობა N8) თანახმად, რომლის შესრულების ვადად განსაზღვრული აქვს 4 თვე. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულების მიერ ორივე ლოკაციაზე საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვის მექანიზმების შემუშავებისა და დანერგვისთვის, შესაბამისობის გეგმაში მოცემული დრო რელევანტურია და 4 თვეში შესრულებადია. ვრცლად იხილეთ 5.2.1.2 ინდიკატორის აღწერა.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 1.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს, ამასთან, რეკომენდებულია მისიიდან ამოღებულ იქნას ტერმინი - „საზოგადოებრივი კოლეჯი“*, ვინაიდან კანონმდებლობა არ განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემულ სტატუსს.

ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი. ამასთან, ვინაიდან პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების თანასაზოგადოება არ არის მხოლოდ კოლეჯის პერსონალი, რეკომენდებულია დაწესებულებამ კოლეჯის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესში ჩართოს სხვა დაინტერესებული პირები, მაგალითად პროფესიული სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პარტნიორი დაწესებულებისა და დამსაქმებელთა წარმომადგენლები და სხვა, რაც გაზრდის დაწესებულების მართვასა და ფუნქციონირებაში ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობას.

ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების

შემუშავებისას. თუმცა, რეკომენდებულია: 1. დაწესებულებამ სამოქმედო გეგმის მონიტორინგი განახორციელოს კვარტალურად ან არანაკლებ წელიწადში ორჯერ 6 თვიანი ანგარიშგების გზით, რაც უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების მაღალ ხარისხის, პრევენციული და მაკორექტირებელი ღონისძიებების ეფექტიანობას. 2. დაწესებულებამ მეთოდოლოგიით განსაზღვროს და პრაქტიკაში გამოიყენოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების ინდიკატორები.

ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს, თუმცა რეკომენდებულია სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის წევრებად განსაზღვროს პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენლები, კურსდამთავრებულები და პროფესიული სტუდენტები.

ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ სამოქმედო გეგმის შედგენისას წინასწარ განსაზღვროს საორიენტაციო ფინანსური/მატერიალური/ადამიანური რესურსი, მათ შორის დაფინანსების წყარო, რომელიც აისახება დაწესებულების ბიუჯეტში, რაც დაეხმარება კოლეჯს განსაზღვროს აქტივობათა მასშტაბები და ოპტიმალურად გამოიყენოს საკუთარი რესურსები დაწესებულების მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ წლის განმავლობაში ორჯერ ან კვარტალურად განახორციელოს სამოქმედო გეგმის მონიტორინგი, ხოლო არანაკლებ სამ წელიწადში ერთხელ სტრატეგიული გეგმის შესრულების შუალედური მონიტორინგი და შეფასება, რაც დაეხმარება კოლეჯს დროულად დააიდენტიფიციროს სამოქმედო/სტრატეგიული გეგმებით განსაზღვრული აქტივობების შეუსრულებლობლის მიზეზები და განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები.

ინდიკატორი 1.2.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე, თუმცა რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეაფასოს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული კონკრეტული აქტივობის შესრულება, ხოლო შეუსრულებლობის ან არასრულად შესრულების შემთხვევაში დაადგინოს შესაბამისი მიზეზები/გარემოებები, განსაზღვროს პასუხისმგებელი პირები, რა დროსაც იმოქმედებს დაწესებულების შინაგანაწესის 29-ე (დისციპლინური პასუხისმგებლობის სახდელის სახეები) და 31-ე მუხლების (დასაქმებულების წახალისების სახეები) მოთხოვნათა შესაბამისად.

ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა, თუმცა რეკომენდებულია: 1. დაწესებულებამ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს პროგრამის წინაპირობების შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა წინარე განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობა პროფესიულ სტუდენტთა პირად საქმეში; 2. დაწესებულებამ შეასრულოს კოლეჯის დირექტორის 2020 წ. 26.06. N03-09 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესის“ მე-4 მუხლით (ხელშეკრულებების აღრიცხვის წესი) განსაზღვრული პროცედურები და დროულად უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთათვის ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარის მიწოდება; 3. დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსი შესაბამისობაში მოიყვანოს პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან; 4. დაწესებულებამ დაარეგულიროს უცხოეთში/ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების შემთხვევაში - განათლების აღიარების დოკუმენტის წარმოდგენის ვალდებულება; 5. დაწესებულებამ უზრუნველყოს თავდაცვის კოდექსის მე-60 მუხლის მე-2

პუნქტის შესაბამისად, წვევამდელის სტატუსის მქონე კოლეჯში სწავლის მსურველი პირების მიერ ხელშეკრულების გაფორმებამდე წვევამდელის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ან წვევამდელის სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.

ინდიკატორი 3.1.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, თუმცა რეკომენდებულია: 1. დაწესებულებამ დროულად უზრუნველყოს კოლეჯის დირექტორის 2020 წ. 26.06. N 03-09 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესის“ მე-4 მუხლით (ხელშეკრულებების აღრიცხვის წესი) განსაზღვრული პროცედურების შესრულება 2. დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსი შესაბამისობაში მოიყვანოს პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან.

ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სათანადოდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმებისა და პროცედურების ფორმალიზება, გაიწეროს ინიციატივების წარდგენის წესი, მათი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადები, მხარდაჭერისა და ანგარიშგების ეტაპები და სხვa.

ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას, თუმცა რეკომენდებულია კოლეჯის სერვისებით მოსარგებლეთა კმაყოფილების კვლევა ჩატარდეს რელევანტურ პერიოდში, მაგალითად წელიწადში ორჯერ. დაწესებულების მიერ განსაზღვრული დრო (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე 1 თვით ადრე) არ იძლევა გასაუმჯობესებელი მიმართულებების აღმოფხვრის შესაძლებლობას.

ინდიკატორი 3.2.2.3 დაკმაყოფილებულია, კოლეჯს დარეგულირებული აქვს პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით კვლევის პროცედურა, თუმცა რეკომენდებულია დასაქმებასთან დაკავშირებული კვლევა ასევე ჩატარდეს ქ. ქუთაისის ბაზაზე არსებული პროფესიული სტუდენტებისთვის, ხოლო კვლევის შედეგები გაანალიზდეს და წარმოდგენილ იქნეს ანგარიშის სახით. ინდიკატორი 4.1.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ შინაგანაწესში პერსონალის შვებულების საკითხები მოიყვანოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.

ინდიკატორი 4.1.2.2 დაკმაყოფილებულია, პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით, თუმცა რეკომენდებულია: 1. დაწესებულებაში ფორმალიზდეს კანდიდატის შეფასების კრიტერიუმები, კანდიდატთა შერჩევის ოქმები და შერჩეული კანდიდატის წარდგინებები, რაც უფრო გამჭვირვალეს და სამართლიანს გახდის პერსონალის შერჩევის პროცესს, აგრეთვე პროფესიული განათლების მასწავლებელთა შერჩევის პროცესში ასევე ჩაერთოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი; 2. დაწესებულებამ დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და უზრუნველყოს შემდეგი დოკუმენტების არსებობა პერსონალის პირად საქმეში: 2.1. თავდაცვის კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წვევამდელის სტატუსის მქონე კოლეჯში დასაქმების მსურველმა ხელშეკრულების გაფორმებამდე წარმოადგინონ წვევამდელის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ან წვევამდელის სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის დამადასტურებელი დოკუმენტი; 2.2. სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის N 463 დადგენილების მე-3 მუხლის 1-ლი მუხლის ზ) ქვეპუნქტის შესაბამისად, ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და

ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ"; 3. დაწესებულებამ დააზუსტოს პოზიციების მიხედვით საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ის შეუსაბამოს შესაბამის ფუნქცია-მოვალეობებს.

ინდიკატორი 4.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას, თუმცა რეკომენდებულია 1. დაწესებულებაში ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელმა პირმა პერსონალის შეფასების შედეგები წარმოადგინოს ანგარიშის სახით და დააიდენტიფიციროს გასაუმჯობესებელი ასპექტები, ხოლო დადებითი შეფასებისას უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების ინიცირება დაწესებულების მიერ დადგენილი წესით. 2. დაწესებულებამ შეიმუშაოს პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის მეთოდოლოგია და უზრუნველყოს კვლევის ჩატარება წელიწადში ერთხელ.

ინდიკატორი 4.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს პერსონალის განვითარების კონკრეტული აქტივობების გეგმა გრაფიკი, რომელიც ასევე დაეყრდნობა დაწესებულების პერსონალის საჭიროებების კვლევას.

ინდიკატორი 4.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით, თუმცა, რეკომენდებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების ღონისძიებები ასევე ეფუძნებოდეს მათი საჭიროების კვლევის შედეგებს, მიზნობრივი გამოკითხვის ან ინტერვიუირების გზით დააიდენტიფიციროს საჭიროებები, პერსონალის შეფასების მრავალმხრივი მეთოდის გამოყენებით განსაზღვროს გასაუმჯობესებელი მხარეები, ხოლო სისტემაში არსებული სიახლეების, ტენდენციებისა და განვითარების მიმართულების მიხედვით ორგანიზებულად დაგეგმოს და განახორციელოს პერსონალის უწყვეტი განვითარების აქტივობები, პერიოდულად მიიღოს პერსონალის უკუკავშირი ჩატარებული ტრენინგების, სამუშაო შეხვედრების და სხვა სახის ღონისძიებების შედეგების თაობაზე და დააკვირდეს პროცესების გაუმჯობესების მიმდინარეობას.

ინდიკატორი 4.2.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ დაარეგულიროს კოლეჯში ახალი პერსონალის ინტეგრაციის მექანიზმები, განსაზღვროს ახალ სამუშაო ადგილზე დასაქმებულის ადაპტაციის ეტაპები, შეიმუშაოს გეგმები, ანგარიშები, პროცესის შეფასების ფორმები და სხვა.

ინდიკატორი 4.2.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ გაწეროს პერსონალის ინიციატივების წარმოდგენის, განხილვის, დაკმაყოფილების/უარის თქმისა და ანგარიშგების პროცედურები, განსაზღვროს პერსონალის ინიციატივების სფეროები/მიმართულებები და აღნიშნული გაითვალისწინოს დაწესებულების ბიუჯეტში.

ინდიკატორი 5.1.1.1 დაკმაყოფილებულია ქ. თბილისის ლოკაციაზე, სადაც დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს მატერიალურ-ტექნიკურის რესურსის, მათ შორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო რესურსის პერიოდული შეფასება, შედეგების ანალიზი, გაუმჯობესების გეგმის შედგენა და შესაბამისი აქტივობების ოპერატიული განხორციელება.

ინდიკატორი 5.1.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ ქ. ქუთაისის ბაზაზე უზრუნველყოს უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელ პირთან შესაბამისის ხელშეკრულების/შეთანხმების გაფორმება.

ინდიკატორი 5.2.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს და პრაქტიკაში გამოიყენოს IT რესურსების მართვისა და რისკების შეფასების მექანიზმები“.

ინდიკატორი 5.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში არსებობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები და ჰყავს პასუხიმგებელი პირი, თუმცა რეკომენდებულია 1) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერის დანიშვნის თაობაზე აცნობოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის. 2) დაწესებულებაში ამოქმედდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მექანიზმები.

ინდიკატორი 5.2.1.4 დაკმაყოფილებულია, პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ სისტემატურად უზრუნველყოს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობა როგორც ქ. თბილისის, ისე, ქ. ქუთაისის ლოკაციაზე.

ინდიკატორი 5.2.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში დანერგილია ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულების ერთიანი დოკუმენტბრუნვის სანდოობის უზრუნველყოფისთვის სრულად ასახავდეს ყველა კატეგორიის დოკუმენტებს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემაში - “eflow”.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ მწვრთნელებთან გაფორმებულ წინარე და შემდგომ ხელშეკრულებებში მიუთითოს სპორტის რომელი სახეობის ფარგლებში ითანამშრომლებენ.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, თუმცა რეკომენდებულია 1. დაწესებულებამ ერთ დოკუმენტში განსაზღვროს პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ ინფორმაცია, რაც მომავალში აღმოფხვრის მსგავს შეუსაბამობებს, ხოლო პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები და პერსონალის ნუსხა მოიყვანოს ურთიერთშესაბამისობაში. 2. კოლეჯმა შეიმუშავოს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სქემა, სადაც მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათების გარდა, გათვალისწინებული იქნება ისეთი აქტივობები, როგორიცაა: სასწავლო პროცესისათვის მომზადება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება, სტუდენტთა კონსულტირება, სამუშაო ჯგუფებსა და კომისიების მუშაობაში ჩართულობა, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ იზრუნოს პერსონალის კომპეტენციის ამაღლებაზე სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების შესახებ.

ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

მიმდინარე წლის 31 იანვრის MES 1 25 89039, 04 თებერვლის N102710 და 06 თებერვლის N118351 კორესპონდენციით წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნის პროექტში მოყვანილი გარემოებები და წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით განსაზღვრული აქტივობების

შესრულებისთვის დაწესებულების მიერ განსაზღვრული ვადა არ აღემატება 15 თვეს. ექსპერტთა მიერ გაზიარებულია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა და შედეგები ასახულია დასკვნაში შესაბამისი სტანდარტის შეფასებისას.

ექსპერტის განცხადებით, კოლეჯი საკუთარი მისიით ეხმიანება პროფესიული განათლების ისეთ მიზნებს, როგორიცაა: „ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოება და შეთავსებადობა.“ დაწესებულების მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები. დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე და დართული აქვს კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგსა და კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 15 ივნისის N 03-03 ბრძანებით დამტკიცებულ შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას. დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი. დაწესებულება განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას. დაწესებულების სტრატეგიული გეგმა 2020-2026 წწ შემუშავებულია 2019 წლის ბოლოს, კოლეჯში იმ დროისათვის მოქმედი მეთოდოლოგიის მიხედვით, შესაბამისად, დაწესებულებაში სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფი არ შექმნილა. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიუირებისას აღინიშნა, რომ სტრატეგიული გეგმა კოლეჯის პერსონალის მიერ შემუშავდა. მომავალ წელს კოლეჯი გეგმავს ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავებას, რა დროსაც იხელმძღვანელებს ახალი მეთოდოლოგიით. დაწესებულებაში სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს, კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 03 დეკემბრის N03-23 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში (2024-2025 სასწავლო წელი) განსაზღვრულია სტრატეგიული ამოცანა, აქტივობა, შესრულების ინდიკატორები, აქტივობის შესრულების პერიოდი თვეების მიხედვით, შემსრულებელი პირები. თუმცა, კოლეჯის მიერ დამტკიცებულ წლიურ გეგმაში არ არის განსაზღვრული რესურსები. წლიური სამოქმედო გეგმა შემუშავებულია სასწავლო წლის ფარგლებში 2024 წლის ნოემბრიდან 2025 წლის ნოემბრის ჩათვლით. სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში აქტივობათა შესრულებაზე პასუხიმგებელი პირები/პოზიციები არ შეესაბამება დაწესებულების სტრუქტურაში განსაზღვრულ პოზიციებს. აღნიშნული აღწერილი და შეფასებულია მეოთხე სტანდარტის ფარგლებში. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით და წარედგინება დირექტორს. მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში საფუძვლად ედება შემდგომი წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებას. დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით (ბოლო ცვლილება შესულია 20.06.2024 #03-08 ბრძანებით) დამტკიცებულია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები და ჩარიცხვის წესი, რომელიც შესაბამისობაშია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და

პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით განსაზღვრულ დებულებებთან. დაწესებულების დირექტორის 18.04.2023 N03-06 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის” მე-5 თავი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის მიერ პრეტენზიების განხილვის პროცედურებს, ვადებსა და პროცესში ჩართული მხარეების ინფორმირების მექანიზმებს. დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებულია „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“, რომელიც არეგულირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების, სსსმ სტუდენტებისთვის მოდულის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის წარმოებისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების უზრუნველყოფის საკითხებს. სსსმ ან/და შშმ პირებისათვის შესაბამისი სპეციალისტი პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად 5 სამუშაო დღის ვადაში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და წარუდგენს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს შესათანხმებლად. დაწესებულების ადმინისტრაცია და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები ჩართულნი არიან სასწავლო პროცესში, პროფესიულ სტუდენტებთან უწყვეტი კომუნიკაციის გზით უწევენ მათ შესაბამის კონსულტირებას და უზრუნველყოფენ მათ ადაპტაციას ახალ გარემოში. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 23.06. N03-08 ბრძანებით დამტკიცებულია „საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვის დებულება“, რომლის თანახმად, ცნობიერების ამაღლების მიზნით, პროფესიული სტუდენტისათვის/მსმენელისთვის და თანამშრომლებისთვის კოლეჯში პერიოდულად ტარდება სხვადასხვა ინფორმაციული შეხვედრები, რომელსაც ორგანიზებას უკეთებს ადამიანური რესურსებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვის მენეჯერი. დაწესებულების დირექტორის 18.04.2023 N03-06 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა“, რომლის ერთ-ერთ კომპონენტს მოიცავს პროფესიულ სტუდენტთა კითხვარი. გამოკითხვის მიზანია ადრესატთა კმაყოფილების დადგენა ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა შემდგომი რეაგირებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესებისათვის. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 26 ივნისის N03-09 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის, კონსულტაციის გაწევის წესი“, რომელიც არეგულირებს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სერვისებს, სამიზნე აუდიტორიასა და სერვისების მიწოდების მექანიზმებს. პროფორიენტაციასა და კონსულტირებას დაწესებულებაში ახორციელებს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, ადმინისტრაციის სხვა წარმომდგენლებთან ერთად (საჭიროებისამებრ). დაწესებულების დირექტორის 18.04.2023 N03-06 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი“, რომლის ერთ-ერთ კომპონენტს მოიცავს პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კითხვარი.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებულია „კოლეჯის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები და სამუშაო აღწერილობები“, სადაც გაწერილია სამუშაო აღწერილობა, ფუნქციები და მოვალეობები. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების დაქვემდებარებები და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს არ უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას, კერძოდ - დაწესებულების სტრუქტურითა (იხ. დანართი N2) და დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის № 03-06 ბრძანებით დამტკიცებული „კოლეჯის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციებისა და სამუშაო აღწერილობების“ შესაბამისად: 1. დირექტორის მოადგილეს ევალება ისეთი ფუნქციების შესრულება, რომელსაც ვერ უზრუნველყოფს დაწესებულებაში არასწორი იერარქიული დაქვემდებარების გამო. დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები არ გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები დარეგულირებულია დაწესებულების დირექტორის

2020 წლის 15.06 N03-03 ბრძანებით დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით“ და დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N03-06 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების მასწავლებლების, ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის შერჩევისა და სამსახურში მიღების, ასევე საკვალიფიკაციო მოთხოვნების ერთიანი წესით“, თუმცა დაწესებულებაში არ ხდება პერსონალის აყვანასთან და საკონკურსო წარმოებასთან დაკავშირებული პროცესების დოკუმენტირება. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 15.06 N03-03 ბრძანებით დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ თანახმად, კოლეჯში ახალი თანამშრომლის ადაპტაციას უზრუნველყოფს და ხელს უწყობს ადამიანური რესურსების მართვის და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი. დაწესებულებაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულება ქ. თბილისში, ნინოშვილის ქ. N55-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე სარგებლობის უფლებით ფლობს 410 მ 2 ფართს. იჯარის ხელშეკრულება დადებულია 2020 წლის 01 ოქტომბერს და სარგებლობის ვადად განსაზღვრულია 6 წელი. ხელშეკრულება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში ასევე დაწესებულება ქ. ქუთაისში, გაპონოვის ქ. N11-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მესამე სართულზე სარგებლობის უფლებით ფლობს 477,97 მ 2 ფართს. იჯარის ხელშეკრულება დადებულია 2021 წლის 01 აპრილს და სარგებლობის ვადად განსაზღვრულია 6 წელი. ხელშეკრულება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. ორივე ლოკაციაზე დაწესებულების სასწავლო და სამუშაო სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკითა და მატერიალური რესურსით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია უძრავი და მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, უძრავი და მოძრავი ქონების ინვენტარიზაციის მასალები. დაწესებულების საქმიანობა ქ. ქუთაისის ლოკაციაზე არ არის უზრუნველყოფილი შესაბამისი ინფრასტრუქტურით, ვინაიდან ქ. ქუთაისის ფილიალში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გადაადგილებისთვის ერთადერთი საშუალება არის ლიფტი, რომელიც არ არის უსაფრთხო მდგომარეობაში. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ქ. ქუთაისში დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობა არ არის უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობის სისტემით. დაწესებულების არც ერთ ლოკაციაზე არ მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. კოლეჯში სასწავლო პროცესი საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებლად არის უზრუნველყოფილი და დანერგილი სისტემა ეფექტურად მოქმედებს.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას. დაწესებულების შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. დაწესებულების ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. დაწესებულების სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი,

რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები. დაწესებულებაში ქ. ქუთაისის ბაზაზე არ მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. ასევე დაწესებულების არც ერთ ლოკაციაზე არ მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას. დაწესებულების ორივე ლოკაციაზე კომპიუტერული ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციის ოთახი აღჭურვილია ქსელში ჩართული კომპიუტერებით. დაწესებულებას აქვს საკმარისი რაოდენობის კომპიუტერები ქ. თბილისსა და ქ. ქუთაისში, თუმცა IT ტექნიკა და ინტერნეტი საჭიროებს გამართვას, დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს. დაწესებულება არც ერთ ლოკაციაზე არ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას. დაწესებულებაში არსებობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები და ჰყავს პასუხიმგებელი პირი. უნდა აღინიშნოს, რომ პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია დაწესებულების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება. კომუნიკაციის მიზნით, კოლეჯი იყენებს ელექტრონულ ფოსტას. კოლეჯში ფუნქციონირებს ისეთი ელექტრონული სერვისები როგორებიცაა: დოკუმენტაციის ბრუნვის ელექტრონული სისტემა („eflow“), სოციალური გვერდი და კოლეჯის ვებგვერდი. შესაბამისად, კოლეჯს გააჩნია და იყენებს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირების ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმს/სისტემას. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი ასევე დანერგილია ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა, , დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას. დაწესებულება დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს მხოლოდ ქართულ ენაზე. კოლეჯის მისიასა და დასახელებაში არ არის განსაზღვრული საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი. შესაბამისად, კოლეჯს აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდი, რომელზეც ახორციელებს სწავლებას. დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განხორციელებული აქტივობები უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით, რაც დასტურდება კოლეჯის მიერ სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშის დოკუმენტებით და კოლეჯის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტებით. დაწესებულების საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. დაწესებულება ყოველწლიურად ადგენს ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტს და ახორციელებს ფინანსური აღრიცხვის და ანგარიშგებას კანონმდებლობით დადგენილი წესით. დაწესებულება ყოველწლიურად ახორციელებს დაწესებულების ბიუჯეტის, რომელსაც იხილავს კოლეჯის დირექტორთან. მოცემული ანალიზის შესაბამისად ახორციელებს მომდევნო წლის ბიუჯეტების შემუშავებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სპორტის ინსტრუქტორი"

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სპორტის ინსტრუქტორი" შეესაბამება დაწესებულების მისიას. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. კოლეჯის მიერ ზღვრული ადგილების რაოდენობის დასაბუთების რეგულაცია ითვალისწინებს A, B, C სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობას, მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობას, დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტების გამტარუნარიანობას, პერსონალის რაოდენობას. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებას აქვს შესაბამისი რესურსი სრულფასოვნად განახორციელოს „სპორტის ინსტრუქტორის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ქ. თბილისის ბაზაზე 80, ხოლო ქ. ქუთაისის ბაზაზე 40 პროფესიული სტუდენტის მიღებით. პროგრამის განსახორციელებლად დაგეგმილი მატერიალური და სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სპორტის ინსტრუქტორი" მოცულობაა 97 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 13, ხოლო პროფესიული მოდულების საერთო მოცულობაა - 84 კრედიტი. პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სპორტის ინსტრუქტორი" დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის N03-04 ბრძანებით. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება „სპორტის ინსტრუქტორი" თანხვედრაშია სპორტის ინსტრუქტორობის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ კვალიფიკაციასთან, შესაბამისად ასრულებს იდენტიფიკატორის როლს და არ არის შეცდომაში შემყვანი. დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის - „სპორტის ინსტრუქტორი" ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგების მიღწევების დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის. პროგრამას დანართების სახით ახლავს: სავალდებულო ზოგადი მოდულები, სავალდებულო პროფესიული მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია მატერიალური რესურსისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების შესახებ, ხოლო სწავლების მეთოდოლოგია და შეფასების მიმართულებები მოცემულია შესაბამის მოდულებში. სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით დასაშვებ კვირეულ დატვირთვას. პროგრამა ითვალისწინებს მოდულების - ქართული ენა A2 და B1 სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სპორტის ინსტრუქტორი" ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე, როგორც ქ. თბილისის, ისე ქ. ქუთაისის ლოკაციაზე, ხოლო პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება პარტნიორი დაწესებულებების ბაზაზე. დაწესებულების ორივე ლოკაციაზე პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია A და B გარემოებები, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა. დაწესებულება უზრუნველყოფს ქ, თბილისში 80, ხოლო ქ. ქუთაისში 40 პროფესიული სტუდენტის სწავლებას. სასწავლო გარემოები აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები) და

ყველა საჭირო რესურსით. დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს: ქ. თბილისის ლოკაციაზე: 1. საცურაო კომპლექსი შპს „არენა“, ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 12 ივნისს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2030 წლის დეკემბერი, ობიექტი თითო ჯერზე მიიღებს 20 პროფესიულ სტუდენტს, ობიექტზე ხორციელდება ცურვის მოდული; 2. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 12 ივნისს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2030 წლის დეკემბერი, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა არ არის განსაზღვრული, ობიექტზე ხორციელდება პრაქტიკული სწავლება, თუმცა მიმართულებები არ არის დაზუსტებული. პროგრამის სავალდებულო პროფესიული მოდულის - სპორტის სახეობები განხორციელების მიზნით დაწესებულების მიერ გაფორმებულია შემდეგი კოოპერაციული ხელშეკრულებები: ა(ა)იპ ქ. ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების ომარ ფხაკაძის სახელობის N12 კომპლექსური სპორტული სკოლა, ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 25 დეკემბერს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2 წელი, ობიექტი თითო ჯერზე მიიღებს 10 პროფესიულ სტუდენტს, ობიექტზე ხორციელდება სპორტის სახეობა - საერთო ფიზიკური მომზადება, სადაც დასაზუსტებელია სპორტის რომელი სახეობა იგულისხმება. დაწესებულებას წინარე შრომითი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული მწვრთნელთან; 2. ა(ა)იპ სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების დავით ხახალეიშვილის სახელობის ჭიდაობის N17 კომპლექსური სპორტული სკოლა, ხელშეკრულება გაფორმებულია 2024 წლის 25 დეკემბერს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2 წელი, ობიექტი თითო ჯერზე მიიღებს 10 პროფესიულ სტუდენტს, ობიექტზე ხორციელდება სპორტის სახეობა - სპორტული თამაშები (ძალოსნობა, ჭიდაობა), დაწესებულებას წინარე შრომითი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული მწვრთნელთან.

ექსპერტის განცხადებით, ქ. თბილისის ლოკაციაზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - „სპორტის ინსტრუქტორი“ განსაზღვრული ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 6 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ხოლო პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 18 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ჯამში „სპორტის ინსტრუქტორის“ პროგრამისთვის მოიაზრება 24 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ქ. ქუთაისის ლოკაციაზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - „სპორტის ინსტრუქტორი“ განსაზღვრული ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 6 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ხოლო პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 9 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ჯამში „სპორტის ინსტრუქტორის“ პროგრამისთვის მოიაზრება 15 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას - „სპორტის ინსტრუქტორი“ ჰყავს დაწესებულების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი ორივე ლოკაციაზე, რომელთაც აქვთ, როგორც სწავლების, ასევე სპორტის სფეროში მუშაობის გამოცდილება. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში - „სპორტის ინსტრუქტორი“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონული, ისე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სპორტის ინსტრუქტორი“ განხორციელებისათვის წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებს. დაწესებულებამ მიმდინარე წლის ნოემბერში დაიწყო სასწავლო პროცესი, ამიტომ ჯერ შუალედური ან დაზუსტებული ბიუჯეტი არ შემუშავებულა. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს,

უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვა. დაწესებულებას გააჩნია პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების მექანიზმები და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. , პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტს დაუსვა კითხვა სტრატეგიულ განვითარებასთან დაკავშირებით, კერძოდ 1.2.1 კომპონენტზე, რომელიც მოიცავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას — როგორ ხდება სტრატეგიული განვითარების და წლიური სამოქმედო გეგმების შემუშავება.

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას გააჩნია მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხილვის, ცვლილებების შეტანის, დამტკიცებისა და გაზიარების მეთოდოლოგია. ასევე განსაზღვრულია მონიტორინგისა და ანგარიშგების წესები. ამ მეთოდოლოგიის შესაბამისად, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის მიზნით, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სასწავლო პროცესის მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი და დირექტორის მოადგილე ამზადებენ ანგარიშს სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ. მიუხედავად ამისა, ექსპერტი აღნიშნავს, რომ დაწესებულებაში არ ხორციელდება სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი, არ არის განსაზღვრული სამოქმედო და სტრატეგიული გეგმის შესრულების შეფასების ინდიკატორები, ანგარიშგების პროცედურები და მეთოდები.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესებულია, რას ნიშნავს აღნიშნული შემთხვევა და როგორ უნდა გაიგოს ეს შეუსაბამობა.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების რეგულაციისა და პრაქტიკის მიხედვით, წლის ბოლოს ანგარიშს ამზადებენ განსაზღვრული პირები, რის შემდეგაც შედგება ერთგვერდიანი ნარატიული სახის ანგარიში, რომელიც აჯამებს წლის განმავლობაში განხორციელებულ საქმიანობას. ეს ანგარიში არ არის დაკავშირებული სტრატეგიულ გეგმასთან და მხოლოდ შემაჯამებელ ხასიათს ატარებს. ექსპერტის თქმით, დაწესებულების სურვილია, განხორციელდეს აქტიური მონიტორინგი, თუმცა წარმოდგენილი პრაქტიკა მხოლოდ საბოლოო ანგარიშს მოიცავს. ამჟამად ანგარიში მხოლოდ ზოგად აღწერას წარმოადგენს იმაზე, თუ დაწესებულებამ რა გააკეთა წლის განმავლობაში, თუმცა ეს არ უკავშირდება კონკრეტულ დაგეგმილ აქტივობებს. მაგალითად, თუ წლის განმავლობაში დაიგეგმა 10 აქტივობა, ანგარიშში

არ ჩანს თითოეული მათგანის შესრულების სტატუსი. ექსპერტის რეკომენდაციით, მნიშვნელოვანია, თითოეულ დაგეგმილ აქტივობასთან ახლოს მიეწეროს შესრულდა თუ არა ის, და მიეთითოს მიზეზიც იმ შემთხვევაში, თუ ვერ შესრულდა. ასევე უნდა განისაზღვროს, მიიჩნევა თუ არა კონკრეტული აქტივობა მნიშვნელოვნად და გადავა თუ არა შემდეგი წლის გეგმაში. მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ აუცილებელია თითოეულ აქტივობას ჰქონდეს ინდიკატორები, რომლებიც განსაზღვრავენ როდის ითვლება აქტივობა შესრულებულად და რა მტკიცებულებები ადასტურებს მის შესრულებას წლის განმავლობაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, ექსპერტთა ჯგუფს აღნიშნული აქვს, რომ მნიშვნელოვანია სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფში განისაზღვროს პარტნიორი დამწესებულების წარმომადგენლები, კურსდამთავრებულები და პროფესიული სტუდენტები, მაგრამ თვითონ დირექტორის ბრძანებაში, რომელიც არის გამოცემული აღნიშნულია, რომ აუცილებელი შემადგენლობაა ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, ბუღალტერი, იურისტი და სხვა დაინტერესებული პირები, საბჭოს თავმჯდომარეს აინტერესებს, თუ ვინ იგულისხმება სხვა დაინტერესებულ პირებში.

ექსპერტის განმარტებით, ეს კითხვა მათაც დააყენეს და დაწესებულების პასუხი იყო, რომ მსგავსი ზოგადი ჩანაწერი არსებობს, თუმცა სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში ასეთი პირები არ მონაწილეობდნენ. ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს აუხსნეს, რატომ არის მნიშვნელოვანი ლოგიკურად და არსობრივად, რომ მსგავსი ჯგუფები ჩართულნი იყვნენ პროცესში. შედეგად, დაწესებულების წარმომადგენლებმაც გაიზიარეს ეს პოზიცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა ექსპერტს, არის თუ არა ლიფტი, რომელიც დაწესებულებამ აჩვენა ექსპერტთა ჯგუფს ექსპლუატაციაში და გამოიყენება თუ არა იგი. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებაში ამ ლიფტს ვერ იყენებენ.

სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებას უკვე შემოტანილი აქვს რეავტორიზაციის განაცხადი, მაძიებლად ცნობის ეტაპზეა დაწესებულება, მას ყველა ხარვეზი გამოსწორებული აქვს და დაახლოებით 3-4 თვის შემდეგ კიდევ ერთხელ წარდგება ეს დაწესებულება საბჭოს წინაშე სრული სტანდარტების მიხედვით შეფასების დასკვნით და აღნიშნა, რომ ცენტრის კონსულტირებას უწევდა დაწესებულებას დამატებით და მათთვისაც ეს დასკვნის პროექტი ძალიან კარგი ორიენტირი იყო რეავტორიზაციის განაცხადის შევსებისას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირფებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა მონიტორინგის ჯგუფს გაწეული საქმიანობისთვისდა აღნიშნა, რომ მათ გაცემული რეკომენდაციების უმეტესობა უკვე გაითვალისწინეს.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ვინაიდან დაწესებულებას რეავტორიზაციაზე შემოტანილი აქვს განცხადება უმნიშვნელოვანესია მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი რეკომენდაციები იქნას გამოსწორებული, რაც განაპირობებს ავტორიზაციის კრიტერიუმების სრულყოფილად დაკმაყოფილებას, შესაბამისად აღნიშნული რეკომენდაციების შესრულება შეფასდეს უკვე რეავტორიზაციის ფარგლებში.

სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, ამ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილების ამოქმედების თარიღად განსაზღვრულიყო სხდომის თარიღი 2025 წლის 4 აპრილი, რამდენადაც ავტორიზაციის საბჭოს ახალი შემადგენლობის თაობაზე პრემიერ-მინისტრის ბრძანება გამოიცა 2025 წლის 21 თებერვალს, დაგვიანდა მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დასრულებული წარმოების დასკვნის საბჭოს სხდომაზე განხილვა, რის გამოც დაირღვა მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოებისთვის დადგენილი 90 დღიანი ვადა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 9
წინააღმდეგი : 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში (ს/კ:202949159) ავტორიზაციის პირობების შესრულების შესახებ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2025 წლის 4 აპრილი.

მესამე საკითხი: შპს "მარნეულის სამედიცინო კოლეჯის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ვეტერინარია" მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა

დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო თამაზაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 3 დეკემბრის N1552096 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს ,,მარნეულის სამედიცინო კოლეჯში“ და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ვეტერინარია“ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) და ბ.დ) ქვეპუნქტების შესრულების შემოწმება. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 17 დეკემბერს შპს "მარნეულის სამედიცინო კოლეჯში" (ქ. მარნეული, 26 მაისის ქ. N80). მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა საბჭოს შუამდგომლობის ფარგლებში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დეტალურად გადამოწმდა დაწესებულებაში არსებული მეთოდოლოგია და დანერგილი პრაქტიკა. ჩატარდა გასაუბრება დაწესებულების დირექტორთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებთან. დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება
შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა
განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება
განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები
ექსპერტის განცხადებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით კოლეჯის მიერ განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობისთვის. პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია ერთი დარგობრივი AC გარემო, რომელიც აღჭურვილია პროფესიული ინვენტარით: სხვადასხვა ცხოველისა და ფრინველის ჩონჩხებით, ცხოველთა ჩონჩხის ცალკეული ნაწილებით, მულაჟებით და სხვა დარგობრივი ვიზუალური თავლსაჩინოებებით, ასევე ვეტერინარული ხელსაწყოების ნაკრებით. A გარემოში განთავსებულია მერხები და სკამები, მასწავლებლის კომპიუტერი და დემონსტრირების ციფრული საშუალება, დაფა, სამუშაო ადგილები პროფესიული სტუდენტებისთვის. B გარემოში განთავსებულია სამუშაო ადგილი და კომპიუტერის კომპლექტი 25 პროფესიული სტუდენტისთვის, ასევე 1 სამუშაო ადგილი და 1 კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, 1 პრინტერი/კომბაინი, 1 პროექტორი. კოლეჯს დამატებით აქვს კიდევ სამი B გარემო, რომლებიც გამოიყენება სხვა პროგრამებისთვისაც. დათვალიერდა A/C გარემო (სასწავლო / პრაქტიკული აუდიტორია თეორიული და პრაქტიკულ მეცადინეობისთვის), რომელიც წარმოადგენს ლაბორატორიულ კაბინეტს, სადაც განთავსებულია სამუშაო ქიმიური მაგიდები, ლაბორატორიული სკამები, გამწოვი მოწყობილობა, კარადა ქიმიური ჭურჭლისთვის, კარადა რეაქტივებისათვის და სხვა პროგრამისათვის საჭირო მასალა-ნედლეული. პრაქტიკული კომპონენტის

განხორციელებისათვის ხელშეკრულება გაფორმებულია 7 პრაქტიკის ობიექტთან, სადაც გატანილია პროგრამის პრაქტიკული სწავლის შედეგები. აღნიშნული ხელშეკრულებებით სრულად იფარება პროფესიული მოდულების პრაქტიკული სწავლის შედეგები.

ექსპერტის განცხადებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი მატერიალური სახით ხელმისაწვდომია დაწესებულების პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის. ყველა სასწავლო რესურსი აღმოჩნდა ბიბლიოთეკაში ნაწილი ბეჭდური სახით, ხოლო ნაწილი - ელექტრონულ მატარებელზე. მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში. დაწესებულებას ელექტრონული პროგრამის სახით შემუშავებული აქვს საბიბლიოთეკო კატალოგი. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გაწერილია სსსმ პირების საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და სასწავლო რესურსებისა და გარემოს ადაპტირების საკითხები. რეგულაციის თანახმად: იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ პროგრამაზე ჩაირიცხება სსსმ პირი, კოლეჯი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ის ადაპტირებული სასწავლო/საგანმანათლებლო რესურსით საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. ამ ეტაპზე კოლეჯში სსსმ პირები არ ირიცხებიან. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, რომლის მიხედვით ხარჯის ჯამური ოდენობა არ აღემატება კოლეჯის მიერ განსაზღვრულ დაგეგმილ შემოსავლებს. რენტაბელობის ზღვარი დათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვეტერინარია“

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ვეტერინარია“ ხორციელდება ქ. მარნეული, 26 მაისის ქუჩა ქ. N80. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა 50, პროგრამა ხორციელდება კოოპერაციული მიდგომით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ექვსი ზოგადი მოდულისა და შვიდი დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი პირი. პროფესიულ მასწავლებელთა განათლება და სამუშაო გამოცდილება, უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციას. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და სასწავლო გეგმის თანახმად, მათი საათობრივი კვირეული დატვირთვა, შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია აღნიშნული კომპეტენციები უდასტურდებათ შესაბამისი კვალიფიკაციით და/ან მრავალწლიანი პროფესიული/ პედაგოგიური გამოცდილებით და/ან გავლილი ტრენინგებით. პროგრამის ხელმძღვანელი ჩართული იყო საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო გეგმის შემუშავებაში, ამავდროულად თავად წარმოადგენს პროგრამის პარტნიორ ერთ-ერთ იურიდიულ პირს.

ექსპერტის განცხადებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ვეტერინარია“ დანართის სახით ახლავს სასწავლო გეგმა, რომელშიც გაწერილია მოდულების განხორციელების თანმიმდევრობა, პროფესიული სტუდენტების ყოველკვირეული დატვირთვა. განსაზღვრულია საათები დამოუკიდებელი და საკონტაქტო სწავლებისა და შეფასებისთვის. დაცულია პროგრამით განსაზღვრული დაშვების წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმის აგებისას გათვალისწინებულია სწავლის შედეგების ხელახალი დადასტურების შესაძლო გონივრული

ვადა. სასწავლო გეგმაში სტუდენტთა დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის რეგულაცია, რომელიც ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, როგორც სსსმ და შშმ პირთათვის, ასევე, გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და პროცედურა პროფესიული სტუდენტის მობილობის, სტატუსის აღდგენის, მოდიფიცირებული/ოპტიმიზირებულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისა და ფორსმაჟორული ვითარებებისათვის. რეგულაცია გულისხმობს გეგმის შედგენას დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. ინდივიდუალური გეგმას ამტკიცებს დირექტორი ბრძანებით. პროგრამის ფარგლებში ხელშეკრულებები გაფორმებულია პარტნიორ კომპანიებთან: შპს „ახალი ხორცი 2018“- თეთრიწყაროს რაიონის ბორბალოს თემის ტერიტორია. აღნიშნული ხელშეკრულების (N1406, 30.09.2024) ფარგლებში საწარმოს შეუძლია მიიღოს და მომსახურეობა გაუწიოს 25 პროფესიულ სტუდენტს. პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება მოდულებისთვის: ცხოველთა დაკვლისწინა და დაკვლის პროცესის მონიტორინგი; ცხოველთა დაკვლის შემდგომი კონტროლი. ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება 2033 წლის 15 აგვისტომდე, ინდ. მეწარმე „გიორგი პაქსაშვილი“- აღნიშნული ხელშეკრულების (N10867, 29.08.2024) ფარგლებში საწარმოს შეუძლია მიიღოს და მომსახურეობა გაუწიოს ერთდროულად 10 პროფესიულ სტუდენტს. პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება შემდეგი მოდულებისთვის ცხოველთა მკურნალობა; ცხოველთა ჯანმრთელობის დიაგნოსტირებაში მონაწილეობა; შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი და კატა) დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა. ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება 2033 წლის 15 აგვისტომდე; ინდ. მეწარმე ირადა ალიევა“- (ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქ. 1) აღნიშნული ხელშეკრულების (N11120, 2.09.2024) ფარგლებში საწარმოს შეუძლია მიიღოს და მომსახურეობა გაუწიოს ერთდროულად 10 პროფესიულ სტუდენტს; ინდ. მეწარმე „კოჩალიძის ფერმა“ აღნიშნული ხელშეკრულების (N11460, 4.09.2024) ფარგლებში საწარმოს შეუძლია მიიღოს და მომსახურეობა გაუწიოს ერთდროულად 25 პროფესიულ სტუდენტს; ინდ. მეწარმე „ნათია ბერიძე“ (ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ.64) აღნიშნული ხელშეკრულების (N11458, 4.09.2024) ფარგლებში საწარმოს შეუძლია მიიღოს და მომსახურეობა გაუწიოს ერთდროულად 10 პროფესიულ სტუდენტს; შპს „აშენდი აგრო საქართველო“- აღნიშნული ხელშეკრულების (N18661, 18.11.2024) ფარგლებში საწარმოს შეუძლია მიიღოს და მომსახურეობა გაუწიოს ჯამში 50 პროფესიულ სტუდენტს; შპს ხორცკომბინატი - (ქ. გორი, შინდისის გზატკეცილი მე-3-ე კმ.) აღნიშნული ხელშეკრულების (N10931, 30.08.2024) ფარგლებში საწარმოს შეუძლია მიიღოს და მომსახურეობა გაუწიოს ერთდროულად 10 პროფესიულ სტუდენტს.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება (25/07/2024. N9238) ფიზიკურ პირთან, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხო გადაადგილებას იმ პრაქტიკის ობიექტებზე, რომელიც მდებარეობს ქ. გორსა და ქ. თბილისში. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკის ობიექტებზე უსაფრთხო ტრანსპორტირებას, რაც დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებებით. დაწესებულების მიერ შემუშავებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, სადაც მოცემულია პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაცია-ვერიფიკაციის მექანიზმები. შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვას. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი“, აღნიშნული წესის მესამე მუხლი არეგულირებს ვერიფიკაციის პროცესს. კოლეჯში არსებული რეგულაციების შესაბამისად სასწავლო პროცესში განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად გამოიყენება განმავითარებელი შეფასებაც. განმახორციელებელი პირი

პროფესიულ სტუდენტებს ყოველთვის აძლევს უკუკავშირს, ხდება მასწავლებლებს შორის შეფასების შედეგების განხილვა. მიღებულ შედეგებს დაწესებულება იყენებს შემდგომი განვითრებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, თუ ვინ უზრუნველყოს მსმენელების პრაქტიკის გავლას, ხელშეკრულებაში არის გაწერილი ის თუ ვინ იქნება პრაქტიკის ხელმძღვანელი, თვითონ ობიექტზე დახვდება ინსტრუქტორი და ის შეძლებს ამას, თუ პროფესიულის მასწავლებელი, ან თვითონ პროგრამის ხელმძღვანელი იქნება ჩართული ამ საქმეში.

დარგის ექსპერტის განცხადებით, როგორც მას ახსოვს ხელშეკრულებით იყო განსაზღვრული, რომ ადგილზე პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლები იქნებიან ინსტრუქტორები პროფესიული სტუდენტებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენლებს, კერძოდ, მას ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ჰქონდა კითხვა, რომ გორში იყო ხელშეკრულება გაფორმებული, მაგრამ როდესაც ის გაეცნო ამ ხელშეკრულებებს აღმოჩნდა, რომ სწავლის შედეგები გატანილია ცალკეულად, განსხვავებულად, ასევე, ათ-ათი სტუდენტის მიღება საფრთხეს ხომ არ უქმნის ჯგუფს და თუ დაფარავს მაგალითად 25- ის შემთხვევაში ეს ხელშეკრულებები სტუდენტების პრაქტიკაზე გასვლის შესაძლებლობას.

დარგის ექსპერტის განცხადებით, ერთ მიღებაზე დაწესებულება მხოლოდ ოცდახუთ სტუდენტს მიიღებს, შესაბამისად ათ-ათი სტუდენტი შეიძლება რომ ორ ცვლაში მიიღოს პრაქტიკის ობიექტმა და ამ შემთხვევაში ისინი ფიქრობენ, რომ ეს საფრთხეს არ შეუქმნის პროგრამის განხორციელებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა გააკეთა კომენტარი დასმულ კითხვებთან დაკავშირებით, და აღნიშნა, რომ ისინი პრაქტიკის ობიექტებზე ეტაპობრივად უშვებენ სტუდენტებს, ამიტომ 25 სტუდენტიც რომ ჰყოლოდათ ისინი მონაცვლეობის პრინციპით გავიდოდნენ ობიექტზე, ანუ ჯერ ერთ ობიექტზე გაუშვებენ რამდენიმეს, შემდეგ მეორეზე ,მესამეზე და ასე შემდეგ, თუმცა, მათ ისეთი ობიექტები აქვთ შერჩეული, რომ ის ორმოცდაათ კაცზეც კი არის გათვლილი. პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ხელშეკრულებთან დაკავშირებით კი განაცხადა, რომ ისინი როგორც წესი დაწესებულების ხელმძღვანელთან დებენ ხელშეკრულებას, ხოლო მათი ხელშეკრულება ზუსტად ასახავს, თუ რა მოეთხოვება ინსტრუქტორს, რომელიც სტუდენტებთან იმუშავებს, ეს ყველაფერი მათ გაწერილი აქვს ხელშეკრულებაში, რომლის თანახმადაც პრაქტიკის ობიექტი ვალდებულია სტუდენტებს გამოუყოს მენტორი, თუ ინსტრუქტორი, ხოლო დაწესებულება ამას დიდი ყურადღებას აქცევს, ეს მათთვის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მათ შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით პრაქტიკის ობიექტების შეფასება სტუდენტების მიერ.

სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, ამ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილების ამოქმედების თარიღად განსაზღვრულიყო სხდომის თარიღი 2025 წლის 4 აპრილი, რამდენადაც ავტორიზაციის საბჭოს ახალი შემადგენლობის თაობაზე

პრემიერ-მინისტრის ბრძანება გამოიცა 2025 წლის 21 თებერვალს, დაგვიანდა მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დასრულებული წარმოების დასკვნის საბჭოს სხდომაზე განხილვა, რის გამოც დაირღვა მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოებისთვის დადგენილი 90 დღიანი ვადა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ვეტერინარია" განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 9
წინააღმდეგი : 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯში (ს/კ:405337880) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე "ვეტერინარია" განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2025 წლის 4 აპრილი.

მეოთხე საკითხი: შპს "მარნეულის სამედიცინო კოლეჯის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „საექთნო საქმე“, „ფარმაცია (სააფთიაქო)“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, ნია გუგუნავამ. მისი განცხადებით, 2024 წლის 9 სექტემბრის საბჭოს სხდომაზე საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით 2.2 კომპონენტის შემოწმების მიზნით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან „საექთნო საქმე“, „ფარმაცია (სააფთიაქო)“ მიმართებით. მონიტორინგის განხორციელების პერიოდად განისაზღვრა 2024 წლის 30 ოქტომბერი,

მონიტორინგის ფორმად - დოკუმენტების გამოთხოვა. შპს "მარნეულის სამედიცინო კოლეჯის" მიერ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოდგენილ იქნა N1511419-22.11.2024 და N1517050-25.11.2024 წერილები, რომლითაც დაწესებულებამ ცენტრს მოაწოდა ინფორმაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად განხორციელებული ცვლილებების შესახებ, შესაბამის მტკიცებულებებთან ერთად. დაწესებულებამ წარმოადგინა პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული დაკორექტირებული ხელშეკრულებები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან „საექთნო საქმე“, „ფარმაცია (სააფთიაქო)“ მიმართებით. აღნიშნულ ხელშეკრულებებში დაზუსტდა ხელშეკრულებების მოქმედების ვადა, პრაქტიკის ობიექტებზე გასატანი მოდულები და პრაქტიკის ობიექტების მიერ მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა. ასევე, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან „საექთნო საქმე“ მიმართებით, დაზუსტდა კლინიკურ სწავლებაში ჩართული ექთნების რაოდენობა. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გადამოწმების შედეგად არ გამოვლენილა დამატებით ექსპერტთა ჯგუფის შექმნის საჭიროება. სამსახურის შეფასებით, შპს "მარნეულის სამედიცინო კოლეჯის" მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან „საექთნო საქმე“, „ფარმაცია (სააფთიაქო)“ მიმართებით 2.2 კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „საექთნო საქმე“, „ფარმაცია (სააფთიაქო)“მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 9
წინააღმდეგი : 0

გადაწყვეტილება: პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის სამსახურებრივი ბარათის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯში (ს/კ:405337880) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე „საექთნო საქმე“, „ფარმაცია (სააფთიაქო)“ მონიტორინგთან დაკავშირებით.

მეხუთე საკითხი: სსიპ კოლეჯ "სპექტრის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "რკინაბეტონის სამუშაოთა შესრულება" მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, ნია გუგუნავამ. მისი განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 22 აგვისტოს სხდომაზე განხილულ იქნა სსიპ კოლეჯი "სპექტრის" მიერ დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინაბეტონის სამუშაოთა შესრულება“ დამატების შესახებ საკითხი. აღნიშნული საბჭოს სხდომაზე, საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის ჩანიშვნასთან დაკავშირებით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მეორე სტანდარტის 2.2 და 2.4 კომპონენტებში. მონიტორინგის ფორმად განისაზღვრა დოკუმენტების გამოთხოვა და ინფორმაციის წარდგენა საბჭოსთვის პროგრამის ბიუჯეტისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით. მონიტორინგის თარიღად განისაზღვრა 2024 წლის 28 ნოემბერი (ოქმი N1012371-26.08.24). სსიპ კოლეჯი "სპექტრის" მიერ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოდგენილ იქნა N1490167-19.11.2024, N1605546-12.12.2024 და N1614880-16.12.2024 წერილები, რომლითაც დაწესებულებამ ცენტრს მოაწოდა ინფორმაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად განხორციელებული ცვლილებების შესახებ, შესაბამის მტკიცებულებებთან ერთად. დაწესებულებამ წარმოადგინა დაკორექტირებული ბიუჯეტი, რომელშიც დაზუსტდა რენტაბელობის ზღვარი (7 პროფესიული სტუდენტი) და შესაბამისად ბიუჯეტი დათვლილ იქნა 7 პროფესიულ სტუდენტთან მიმართებით, ასევე, აღნიშნულ დოკუმენტში დაკონკრეტდა ხარჯების სახეობები. დაწესებულებამ, ასევე წარმოადგინა დაკორექტირებული მარეგულირებელი დოკუმენტი - „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი“, რომლის მიხედვით, მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გადამოწმების შედეგად არ გამოვლენილა დამატებით ექსპერტთა ჯგუფის შექმნის საჭიროება. სამსახურის შეფასებით, სსიპ კოლეჯი "სპექტრის" მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან „რკინაბეტონის სამუშაოთა შემსრულებელის“ მიმართებით 2.2 და 2.4 კომპონენტები სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯში "სპექტრი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "რკინაბეტონის სამუშაოთა შესრულება" მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 9
წინააღმდეგი : 0

გადაწყვეტილება: პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის სამსახურებრივი ბარათის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ კოლეჯში "სპექტრი" (ს/კ: 208183605) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "რკინაბეტონის სამუშაოთა შესრულება" მონიტორინგთან დაკავშირებით.

მეექვსე საკითხი: შპს "საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის" მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დიახ**

საბჭოს თავმჯდომარე, ელენე კაკაბაძეს, შპს "საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორთან“ აქვს აცილება, ვინაიდან წარმოადგენს დაინტერესებულ პირს, იყო მონიტორინგის ვიზიტის ჯგუფის წევრი, რის თაობაზეც ელენე კაკაბაძემ განაცხადა სხდომის დღის წესრიგის გაცნობისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საბჭოს წევრის თვითაცილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე : 9
წინააღმდეგი : 0

სხდომის თავმჯდომარედ ამ საკითხის განხილვისას განისაზღვრა თავმჯდომარის მოადგილე ხათუნა ჩხარტიშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ

საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარე, მანანა მოისწრაფიშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 01.11.2024 წლის N 1409308 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა შპს "საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის" მიერ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ა", "გ", "დ", "ე" ქვეპუნქტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური" 31-ე მუხლის - 2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შემოწმების მიზნით გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი ა.წ. 11, 12 და 13 ნოემბერს მანანა მოისწრაფიშვილმა და ელენე კაკაბაძემ, ხოლო ქრისტინე ახალაძემ - 2024 წლის 13 ნოემბერს მისამართზე: ბათუმი, შავშეთის 33, ბათუმგორის ჩიხი 2. ცენტრის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისობის მიზნით ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ განხილული იქნა დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაცია, შეჯერებული იქნა საყურადღებო საკითხები, შემუშავებული იქნა ვიზიტის განრიგი. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ვიზიტის ფარგლებში შემოწმება განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული დღის განრიგის შესაბამისად: გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე, მატერიალური რესურსების მართვაზე, შესყიდვებზე, საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელ პირებს, ბიბლიოთეკარს, პროგრამის ხელმძღვანელებსა და განმახორციელებლებს. ექსპერტების მიერ განხორციელდა ავტორიზაციის სტანდარტებთან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში კოლეჯის დოკუმენტაციის შესწავლა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ბიბლიოთეკის დათვალიერება და სხვა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები. დაწესებულების დოკუმენტაციის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ბათუმის მერიის მიერ წარმოებული ხელახალი დამისამართების გამო დაწესებულების რეესტრის განახლებულ ამონაწერებში შეცვლილია მისამართი და ნაცვლად ქ. ბათუმი შავშეთის 29-ისა (მეორე ამონაწერი ქ. ბათუმი, შავშეთის 35) ამჯერად ფიქსირდება მისამართი ქ. ბათუმი, შავშეთის ქ. 33. შესაბამისად, წინამდებარე დასკვნის შედგენისას გამოყენებულია ახალი მისამართი. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ვითარებაში.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

5.1.2.1. დაწესებულებამ საჭიროა მის მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში უსაფრთხოების ზომების უზრუნველსაყოფად ქ. ბათუმში ბათუმგორის ჩიხი 2-ში განთავსებულ შენობა-ნაგებობებზე მოიპოვოს სახანძრო უსაფრთხოებისა და მდგრადობის შესახებ კომპეტენტური ორგანოს დასკვნები.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

1.1.1.4. სასურველია დაწესებულებამ ოქმების შედგენისას სრულყოფილად გაწესოს და ასახოს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები და მათზე შესაბამისი მსჯელობა.

3.1.1.1. სასურველია დაწესებულებამ პროფესიული სტუდენტის უფლებების შესახებ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები სრულყოფილად გაწეროს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, ხოლო პროფესიულ სტუდენტთა ქცევებთან დაკავშირებული წესები

კი ასახოს შინაგანაწესში და თავიდან აიცილოს სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში საკითხების რეგულირების სხვადასხვა ინტერპრეტაციით დუბლირება.

3.1.1.3. პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით სააპელაციო კომისიაში სასურველი არ არის შედიოდეს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომლის მოვალეობაც არის კოლეჯის ყველა პროცესის შეფასება, რეკომენდაციების მომზადება და განვითარება.

3.1.1.5. სასურველია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში დაწესებულებამ ნათლად და მკაფიოდ განსაზღვროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურა და მასში ჩართული პირების ფუნქციები.

3.2.1.4. სასურველია დაწესებულებაში გაწერილი იქნას წესის სახით პროფესიული სტუდენტების მხრივ დამატებითი/არაფორმალური აქტივობების ჩატარების საკითხის დაყენებისა და დაფინანსების მიღების პროცედურები.

4.1.1.1. სასურველია დაწესებულებამ შესაბამისობაში მოიყვანოს შინაგანაწესი, დებულება და სტრუქტურა, კერძოდ, ტერმინებთან მიმართებაში (დამფუძნებელი თუ პარტნიორთა კრება, პედაგოგიური საბჭო თუ სასწავლო საწვრთნელი ცენტრი). ასევე, სტრუქტურულ სქემაში დაემატოს ექიმის პოზიცია.

4.1.1.2. სასურველია ყველა სტრუქტურული ერთეულის სამუშაო აღწერის დოკუმენტის შემუშავება, საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანა.

4.1.2.1. დაწესებულებამ სასურველია უზრუნველყოს პერსონალის პირად საქმეებში საკუთარი მარეგულირებელი წესებით მოთხოვნილი ყველა აუცილებელი დოკუმენტის განთავსება და პირადი საქმეების მოწესრიგება;

4.1.2.3. - კოლეჯმა განახორციელოს საკვალიფიკაციო მოთხოვნების გადახედვა და ისე განახორციელოს პოზიციებზე პერსონალის აყვანა; - შესყიდვების და მატერიალური უზრუნველყოფის პოზიციაზე მიღებული პირის პირად საქმეში ჩაიდოს სახელობო განათლების საბაზო პროფესიულ განათლებასთან გათანაბრების დოკუმენტი;

4.2.1.2. სასურველია ტრენინგების თემატიკის მრავალფეროვნება და ტრენინგების გარდა სხვა აქტივობების განხორციელება მაგ. პანელური დისკუსიები, სემინარები, სამუშაო შეხვედრები, კონფერენციები და სხვა;

5.1.1.6. სასურველია დაწესებულებამ მატერიალური რესურსების მართვასთან დაკავშირებული მოქმედი მარეგულირებელი აქტების საფუძველზე ჩამოაყალიბოს ერთი დოკუმენტი, რომელშიც სრულად გაიწერება მატერიალური რესურსების მართვასთან დაკავშირებული ყველა პროცედურა;

5.2.1.2. დაწესებულებამ სასურველია ინფორმაციული ტექნოლოგიების რისკების მართვის წესი გადაამუშავოს, შეივსოს და განავითაროს არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე.

5.2.3.1. დაწესებულებამ სასურველია უზრუნველყოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის ლოგიკური დაჯგუფება დაინტერესებული მხარეებისთვის მარტივად ხელმისაწვდომობისა და ინფორმაციის მიღების მიზნით.

2.3.1.1. სასურველია დაიხვეწოს და განვითარდეს კოლეჯის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული კითხვარები.

ექსპერტის განცხადებით, შპს „საზღვაო სასწავლო ცენტრი ეკვატორის“ მისია შესაბამისობაშია პროფესიული განათლების ძირითად მიზნებთან. მისიიდან გამომდინარე, კოლეჯს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში. კოლეჯის მისიის განაცხადი საქმიანობის ძირითად მიმართულებად განსაზღვრავს საზღვაო ტრანსპორტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას რეგიონის შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, შესატყვისი კომპეტენციების მქონე, კონკურენტუნარიანი მეზღვაურების მოსამზადებლად. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები. მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავება განხორციელდა გუნდურად, ფართო საზოგადოებრივი ჩართულობით. მათ შორის იყვნენ კოლეჯის

ადმინისტრაციული პერსონალი და დამსაქმებლები. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას. სტრატეგიული გეგმის დაგეგმარება და შემუშავება განხორციელდა დაწესებულების ადმინისტრაციის, პროფესიული მასწავლებლების, ინსტრუქტორების, დამსაქმებლების ჩართულობით. გათვალისწინებული იქნა რეგიონის პრიორიტეტები, კერძოდ, საზღვაო ტრანსპორტის მომსახურების სფეროში არსებული გამოწვევები. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 28 სექტემბრის N 21 ბრძანებით დამტკიცებულია სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომლის შესაბამისად ხორციელდება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი. კოლეჯის „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“ ითვალისწინებს მონიტორინგის შედეგებზე რეაგირებას: ა) ცვლილება სტრატეგიულ/სამოქმედო გეგმაში; ბ) დამატებითი რესურსების გამოყოფა; გ) ვადების კორექტირება და სხვ. შესრულებული საქმიანობის ანალიზის საფუძველზე. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

ექსპერტის განცხადებით, შპს "საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის" დირექტორის 2023 წლის 31 იანვრის N00000746 ბრძანებით დამტკიცებულია შპს "საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის" სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლის მუხლებში 6-17 გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა უფლებები. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესშიც, ასევე აღწერილია პროფესიული სტუდენტის უფლება მობილობისა და მიღებული განათლების აღიარების შესახებ და სხვა საკითხები, რომელიც მიემართება პროფესიული სტუდენტების უფლებებს. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს, ასევე პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამისი პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების კვალიფიციური კონსულტაციას, როგორც პროგრამების ადმინისტრირებისას, ასევე მოდულების განხორციელებისას სხვადასხვა საინტერესო საკითხებზე პროფესიული განათლების მასწავლებლებისგან და შეფასების ჩატარების ვადებისა და ფორმატის, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა საკითხის თაობაზე. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან ასევე პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას გარდა ამისა, უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით ასევე პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული

სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. სტრუქტურული ერთეულების უფლება-მოვალეობების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მათი ფუნქცია-მოვალეობების დუბლირება არ ხდება და პასუხისმგებლობები ისეა გადანაწილებული, რომ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას ხელს უწყობს. თუმცა, კოლეჯის სტრუქტურით გათვალისწინებული ყველა სტრუქტურული ერთეულის სამუშაო აღწერის დოკუმენტი არ არის შემუშავებული. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაწესებულების მიერ დამტკიცებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს აგრეთვე პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. კოლეჯის პერსონალის მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს პერსონალის შეფასებას, განვითარებას და ტრენინგებს. პერსონალის ზრდა-განვითარებისათვის კოლეჯი ატარებს გამოკითხვებს, აფასებს შესრულებულ სამუშაოს და საჭიროების შემთხვევაში კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ახდენს მომზადება-გადამზადებას. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით. დაწესებულება ზრუნავს პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე. აღნიშნული განსაზღვრულია კოლეჯის, როგორც სტრატეგიულ ისე სამოქმედო გეგმაში. კოლეჯში ახალი თანამშრომლების ადაპტაციას უზრუნველყოფს კარიერული განვითარებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი და კოლეგები. დაწესებულების შინაგანაწესი და პერსონალის მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს პერსონალის წახალისებას.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების საქმიანობა ორივე ლოკაციაზე ქ. ბათუმში, შავშეთის ქ, 33 და ქ, ბათუმში ბათუმგორის ჩიხი 2 უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით, კერძოდ: დაწესებულება ფლობს უძრავ ქონებას ორივე ლოკაციაზე და შენობა-ნაგებობების მფლობელობასთან დაკავშირებით წარმოადგინა განახლებული ამონაწერები საჯარო რეესტრიდან, რომელშიც აღმოჩნდა, რომ ბათუმის მერიის მიერ ხელახალი დამისამართების პროცესიდან გამომდინარე, კოლეჯის მისამართი შეცვლილია და ნაცვლად ქ. ბათუმი, შავშეთის ქ.29-ისა, გახდა ქ. ბათუმი, შავშეთის ქ. 33. კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის გამოყოფილი შენობები მოიცავს: 2 ფოიეს, 8 თეორიული სწავლების თანამედროვედ აღჭურვილ აუდიტორიას, თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკითა და სხვა საჭირო რესურსებით აღჭურვილ 3 გარემოს, 2 თანამედროვე სიმულატორებით აღჭურვილ სახელოსნოს, 2 დარგობრივი სპეციფიკის შესაბამის კაბინეტს, სახელოსნოებს, სივრცეებს ადმინისტრაციული პერსონალისა და პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის, სამუშაო და დასასვენებელ სივრცეს პროფესიული სტუდენტებისათვის, არქივს, ბიბლიოთეკას, საწვრთნელ აუზს შესაბამისი აღჭურვილობით, სახანძრო ტრენაჟორს, გასახდელებს, ქალებისა და მამაკაცებისთვის გამიჯნულ სანიტარულ კვანძებს, მათ შორის შშმ პირებისთვისაც, ბიბლიოთეკას, სამედიცინო კაბინეტსა და სასადილო ოთახს. დაწესებულების კანონიერ მფლობელობაში არსებული ყველა ფართი გარემონტებულია მაღალი ხარისხით, აღჭურვილია უახლესი ტექნოლოგიით, კომფორტული ინვენტარით და პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსებით. მატერიალური რესურსის ფლობა დასტურდება საბუღალტრო დოკუმენტაციითა და ინვენტარიზაციის აქტებით. პროფესიულ სტუდენტებს უფლება აქვთ ისარგებლონ

დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსებით. დაწესებულებაში მოქმედებს სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი, რომელშიც განსაზღვრულია დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული სასწავლო/სამუშაო და სხვა სივრცეების დასუფთავები წესი და პერიოდულობა. დაწესებულების ორივე ლოკაციაზე არსებული პროფესიული განათლების მიზნებისთვის გამოყოფილი შენობა-ნაგებობები უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით. ასევე დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები. კოლეჯში მოქმედებს ხარისხის სახელმძღვანელო და ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, რომლებშიც მოცემულია ინფორმაცია სამსახურის მიზნების, ამოცანების, ფუნქციებისა და პერსონალის შესახებ. დაწესებულების მფლობელობაში ორივე მისამართზე მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. დაწესებულების პროფესიული განათლების მიზნებისთვის გამოყოფილ ორივე შენობა-ნაგებობების ვიზუალური დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ მათში არსებულ სასწავლო/სამუშაო მიზნებისთვის განკუთვნილ სივრცეებსა და ბიბლიოთეკებს აქვთ, როგორც ბუნებრივი ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა, რაც უზრუნველყოფს სწავლისთვის/მუშაობისთვის საჭირო შესაბამის პირობებს. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების ბიბლიოთეკა და სამკითხველო სივრცე აღჭურვილია ინტერნეტკავშირით, უზრუნველყოფილია შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკითა და საგანმანათლებლო რესურსებით. ბიბლიოთეკაში უზრუნველყოფილია შშმ პირებისათვის წვდომა. ბიბლიოთეკა ასევე აღჭურვილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში შეტანილი და სხვა დამატებითი სასწავლო რესურსებით, რომლებიც ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. პროფესიულ სტუდენტებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს შეუძლიათ ისარგებლონ წიგნის გატანის სერვისით, ან ადგილზე გამოიყენონ არსებული სასწავლო რესურსები. დაწესებულებამ ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოადგინა 24.12.2021-ში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ შემოწმების აქტი დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და არსებობის შემთხვევაში-გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრაზე, რომლის მიხედვით დაწესებულება ქ. ბათუმში, შავშეთის ქ, 33-ში განლაგებულ შენობა-ნაგებობაში დაცულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება, თუმცა ასეთივე დასკვნა, დაწესებულების მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი კოლეჯის მეორე ფართზე, რომელიც განლაგებულია ქ. ბათუმში, ბათუმგორის ჩიხში 2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები და ასევე კომპეტენტურ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი. დაწესებულების შენობები აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერებით. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა არის საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტუდენტთა საერთო რაოდენობის შესაბამისი და უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას. შენობაში ხელმისაწვდომია, როგორც უკაბელო ასევე ქსელური ინტერნეტი, რაც დადასტურდება ვიზიტის დროს ადგილზე გადამოწმებითა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინტერნეტის საფასურის გადახდის დოკუმენტაციით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების რისკების მართვის წესი, რომლის მიხედვითაც ახორციელებს

პროცესებს. დაწესებულებაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიზნით მოქმედებს ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და გამოცემულია შესაბამისი შიდა რეგულაცია ,,პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი“, გარდა ამისა, დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი მექანიზმები, რომელიც აფასებს, როგორც IT ინფრასტრუქტურის, ისე პროცესების ეფექტიანობას და ახორციელებს მის გაუმჯობესებას. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია დაწესებულების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება. დაწესებულებაში პროფესიული განათლების ცენტრში გამოიყენება სხვადასხვა სახის ელექტრონული სერვისები და სისტემები, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება შესაბამისი ჯგუფების (პროფესიული სტუდენტების/პერსონალის) ინფორმირება.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებაში მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით შემუშავებული საერთო საქმისწარმოების ერთიანი წესი, დაწესებულება უზრუნველყოფს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, სრულყოფილი ინფორმაციის ასახვას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ასევე დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა ბიუჯეტი, რომლის ანალიზის მიხედვით დასტურდება, რომ დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება. აღნიშნულ ბიუჯეტში გათვალისწინებულია ამ გეგმების ამოცანებისა და პროფესიული პროგრამების განხორციელება-განვითარებისა თუ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გამოყოფილი დაფინანსება. კოლეჯის პროგრამების განხორციელება ხორციელდება ვაუჩერული დაფინანსებით, თუმცა მათ გააჩნიათ შემოსავლების სხვა წყაროებიც. ბიუჯეტი შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისგან. ბიუჯეტის ხარჯების ნაწილი მოიცავს ინფორმაციას შრომის ანაზღაურების, საერთო, ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯების შესახებ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტში გთვალისწინებულია ყველა ძირითადი კომპონენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებისთვის საოპერაციო ხარჯები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური“

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და დამტკიცების პროცედურა განსაზღვრულია დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 20 ივნისის N10 ბრძანებით შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქციის“ შესაბამისად. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების ვადები და პროცედურა, აგრეთვე პროფესიულ პროგრამაზე წარსადგენი დოკუმენტაცია განისაზღვრება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესით და პირობებით. დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეესაბამება შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი 25-ე მუხლით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღვრის“ წესს, რომლის მიხედვით, კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილებისა და ტექნიკური აღჭურვილობის რაოდენობა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას თან ახლავს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და სასწავლო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ

მოდულში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური" არ მოიცავს არჩევით მოდულს. იგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური" დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 თებერვლის N02/ა ბრძანებით. პროგრამების დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 11 აგვისტოს N00008130 ბრძანების მე-6 მუხლის მე-4 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად. პროგრამა მომზადებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 88 კრედიტს. მოდულები კლასიფიცირებულია შემდეგნაირად: ზოგადი მოდულები (6 მოდული) - 17 კრედიტის მოცულობით; პროფესიული მოდულები (7მოდული) – 71 კრედიტის მოცულობით. პროგრამის ხანგრძლივობაა -61 კვირა. კოლეჯს პროგრამის განხორციელებისთვის აქვს მდიდარი და კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა, პროგრამის შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსი. პროგრამის თეორიული ნაწილი ხორციელდება ქ. ბათუმში, შავშეთის ქ. N29, ხოლო პრაქტიკული მეცადინეობებისთვის კოლეჯს ბათუმგორის ჩიხი N2 მისამართზე მოწყობილი აქვს აუზი, სტანდარტებით აღჭურვილი ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟორი, გემზე უსაფრთხოების უზრუნველყოფი მოდულის განხორციელებისთვის და ასევე გემის მექანიზმების ტექნიკური მომსახურება/რემონტის მოდულის განხორციელების შესაბამისი სახელოსნო. პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია 2 A და 2 B გარემოები. A გარემო აღჭურვილია 30 - 30 პროფესიული სტუდენტისთვის. დაწესებულებას აქვს 1 კაბინეტი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის და 1 საკონფერენციო ოთახი 40 პროფესიული სტუდენტისათვის. A გარემოს თითოეულ აუდიტორიაში განთავსებულია კომპიუტერები, პროექტორები, ეკრანები, სასწავლო თვალსაჩინოების პლაკატები, B გარემოს 1 ოთახში განთავსებულია 20 პროფესიული სტუდენტისთვის პერსონალური კომპიუტერები, ხოლო მეორეში 10 კომპიუტერი.

ექსპერტის განცხადებით, C გარემოში განთავსებულია ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული მოდულების განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობები და საწვრთნელი ტრენაჟორები, სამაშველო ტივი, სამანქანე განყოფილების სიმულატორი, საბურღი დაზგა, 200 კვ-ტიანი შიგა წვის ძრავი, დიზელგენერატორი, დამხმარე მექანიზმები, პირველადი დახმარების სამედიცინო კაბინეტი, სადაც განთავსებულია სამედიცინო მულაჟები და შესაბამისი სამედიცინო აღჭურვილობა, ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟორი და ხანძართან ბრძოლის წვრთნების ჩატარებისთვის საჭირო აღჭურვილობა დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური რესურსი შესაბამისობაშია სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის პროგრამით დადგენილ მოთხოვნებთან და ასევე აკმაყოფილებს საზღვაო სფეროში არსებულ საერთაშორისო კონვენციებით და სტანდარტებით განსაზღვრულ პირობებსა და რეგულაციებს. დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემო. ელექტროენერგია დაწესებულებას მიეწოდება ქალაქის ელექტრო ქსელის მეშვეობით. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ,,სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური" განხორციელებისთვის კოლეჯს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული 26 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, მათ შორის პროფესიულ დარგობრივ მოდულებს განახორციელებს 14 პროფესიული მასწავლებელი, რომელთა რაოდენობა მათი დატვირთვისა და განსახორციელებელი მოდულების რაოდენობის მიხედვით საკმარისია. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს" და არ აღემატება კვირაში 40 საათს. დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობს და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

საგანმანათლებლო რესურსი ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია, როგორც მატერიალური ასევე ელექტრონული სახით. დაწესებულებას გააჩნია წვდომა საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის პორტალთან IMO VEGA, რომლის საშუალებით შესაძლებელია, საერთაშორისო სტანდარტების განახლებული ვერსიების მოძიება და მათი გამოყენება სასწავლო პროცესში. მეზღვაურის პროფესიაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლება დაუშვებელია. სწავლება შესაძლებელია, მხოლოდ სპეციალური სამედიცინო შემოწმებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის დადასტურების შემთხვევაში. საგანმანათლებლო პროგრამა წარმოდგენილი ბიუჯეტის მაჩვენებლების მიხედვით ფინანსურად მდგრადია. პროგრამის ბიუჯეტია 693140 ლარი, იგი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის განხორციელება ფინანსურად უზრუნველყოფილია პროფესიული სტუდენტისთვის გამოყოფილი ვაუჩერით. ბიუჯეტის 67 % დათმობილი აქვს სწავლების კრებით ხარჯებს, 2% პროგრამის განვითარების ხარჯებს, დანარჩენი კი პროგრამის მომსახურებისა და ადმინისტრირების ხარჯებს. პროგრამის ბიუჯეტირებისას პროგრამის რენტაბელობის ზღვრად განსაზღვრულია 24 პროფესიული სტუდენტი.

ცენტრის წარმომადგენელმა, ნია გუგუნავამ გააკეთა კომენტარი, მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 20 იანვარს დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტები ცენტრში და არსებული პრობლემები აღმოფხვრილია, აქვთ დადებით დასკვნა მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კომენტარისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ მათ ყველა განმავითარებელი რეკომენდაცია შიდა მარეგულირებელ დოკუმენტაციაში უკვე გაითვალისწინეს და ემზადებიან ავტორიზაციის პროცესისთვის, ხოლო ხარვეზები რაც მათ ჰქონდათ უკვე აღმოფხვრილია.

სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, ამ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილების ამოქმედების თარიღად განსაზღვრულიყო სხდომის თარიღი 2025 წლის 4 აპრილი, რამდენადაც ავტორიზაციის საბჭოს ახალი შემადგენლობის თაობაზე პრემიერ-მინისტრის ბრძანება გამოიცა 2025 წლის 21 თებერვალს, დაგვიანდა მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დასრულებული წარმოების დასკვნის საბჭოს სხდომაზე განხილვა, რის გამოც დაირღვა მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოებისთვის დადგენილი 90 დღიანი ვადა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორში ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 9
წინააღმდეგი : 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორში (ს/კ:245624819) ავტორიზაციის პირობების შესრულების შესახებ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2025 წლის 4 აპრილი.

მეშვიდე საკითხი: სსიპ კოლეჯ "გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „Front-end დეველოპმენტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, დიანა გახარია, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ - კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ შესაბამისი განაცხადის საფუძველზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ 2025 წლის 5 მარტს გამოცემული Nბრძანების (ცვლილება - ბრძანება №271124.12.03.2025) თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება, რაც გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „Frontend დეველოპმენტი“ საფუძველზე

კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტი“ დამატების საკითხის შესწავლას.

ექსპერტების მიერ, ვიზიტის განხორციელებამდე, შესწავლილ იქნა განაცხადი და განაცხადზე თანდართული დოკუმენტები. დაწესებულების მიერ პროგრამის დამატების განაცხადი ინფორმაციულია, მოიცავს საკითხთან დაკავშირებულ აღწერით ნაწილს. ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 13 მარტს, მშვიდ გარემოში. შესწავლილი დოკუმენტების შედეგად ჩამოყალიბებული მოსაზრებების დასაზუსტებლად და აღმოჩენილი შეუსაბამობების გასაცნობად, ექსპერტებმა ვიზიტის დასაწყისშივე მოახდინეს დაწესებულების წარმომადგენლების ინფორმირება. დაწესებულებამ ითანამშრომლა ჯგუფთან და ხელი შეუწყო ვიზიტის შეუფერხებელ მიმდინარეობას, დროულად იქნა მოწოდებული ყველა მოთხოვნილი დოკუმენტი.

ექსპერტებმა დაათვალიერეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეული აუდიტორიები, ასევე სპორტული აქტივობებისთვის განსაზღვრული ფართი და ბიბლიოთეკა. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენელებს - დირექტორს, დირექტორის მოადგილეებს, ხარისხის მართვის მენეჯერს, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირს, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერს, ბიბლიოთეკარს, ფინანსურ ნაწილზე პასუხისმგებელ პირებს, იურისტს. ინტერვიუ შედგა პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის შემადგენელ მოდულებზე განსაზღვრულ უმეტეს პროფესიული განათლების მასწავლებელთან, მათ შორის ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლებთან. დაწესებულებამ ორგანიზება გაუწია დარგობრივი მოდულების ორ განმახორციელებელთან ინტერვიუს, კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებით, წარმართვას, ვინაიდან ვიზიტის დროს ისინი არ იმყოფებოდნენ კოლეჯში.

ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული, მიგნებების უმეტესი ნაწილი გაცნობილ იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის, ვიზიტის მსვლელობისას და შეჯამდა ვიზიტის დასასრულს.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სსიპ - კოლეჯს „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ უცხოენოვანი სასწავლო რესურსის ქარულ ენაზე თარგმნის კარგი პრაქტიკა აქვს. დარგისა და უცხო ენის მასწავლებლების ერთობლივი ძალისხმევის შედეგად, 2024 წელს, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ კოლეჯი ნომინაციის „კარგი პრაქტიკის დანერგვის გზით პროფესიული განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა“ გამარჯვებულად დასახელდა.

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა

ექსპერტის განცხადებით, კოლეჯს, დირექტორის 2021 წლის 31 დეკემბრის N247 ბრძანებით 2018 წლის 2 მაისის N34 ბრძანებაში ცვლილების შეტანის გზით, დამტკიცებული აქვს „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომელშიც აღწერილია A, B და C გარემოს მახასიათებლები და განსაზღვრულია მათი გამოყენების პირობები. მეთოდოლოგიის 1-ლი მუხლის მე-6 პუნქტი განსაზღვრავს აღნიშნულ გარემოებში

სამუშაო ადგილების რაოდენობას, რომელიც წარმოადგენს ამავე მეთოდოლოგიის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი პარამეტრებიდან ერთ-ერთ ქვეპუნქტს - „ა“ და რომლის მიხედვითაც დაანგარიშებულია ზღვრული ოდენობა „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე “Front-end დეველოპმენტი, ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი საერთო რაოდენობის დასაბუთებაში“. დანარჩენი „ბ), გ), დ)“ პარამეტრები დაკმაყოფილებულია, ვინაიდან „ბ)“ ხანგრძლივობა არ წამოადგენს შემზღუდავ ფაქტორს, „გ)“ პროგრამა არ საჭიროებს პრაქტიკის ობიექტს და „დ)“ წარმოდგენილი განმახორციელებელი პერსონალის დანართში მითითებული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა საკმარისია მოთხოვნილი ჯგუფების/სტუდენტების რაოდენობისთვის. დასაბუთებაში მითითებულია სულ 5 აუდიტორია (N14,17,8,10,11), ხოლო პროგრამის მატერიალური რესურსის დანართში მათგან - 3 (8,11,14). აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელი განმარტავს, რომ N17 აუდიტორია განკუთვნილია მხოლოდ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მოდულისთვის, ხოლო N10 აუდიტორია წარმოადგენს A/B სასწავლო გარემოს და გამიზნულია პროგრამის შესაბამისი მოდულების განსახორციელებლად. აღსანიშნავია, რომ ხსენებულ პროგრამაზე B გარემო მიიჩნევა C გარემოდ. კოლეჯის მიერ შემუშავებული “Front-end დეველოპმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მატერიალური რესურსი შესაბამისობაშია და გარკვეულ შემთხვევებში აჭარბებს სტანდარტის სარეკომენდაციო მოთხოვნებს. კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 13 მარტის პროგრამაში ცვლილების შეტანის თაობაზე N275809 ბრძანების შესაბამისი დანართის მიხედვით, პროგრამით გათვალისიწინებული საგანმანათლებლო რესურსი ადაპტირებულია, ასევე დამატებულია სხვადასხვა წყაროები, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში აჭარბებს სწავლის შედეგების შინაარსს. დაწესებულების წარმომადგენლებთან საუბრისას აღინიშნა, რომ დარგში არსებული მწირი ქართულენოვანი რესურსების გამოწვევის დასაძლევად, კოლეჯს აქვს შემუშავებული მიდგომა - დარგისა და ინგლისური ენის მასწავლებლების თანამშრომლობით ჰენდაუთების შექმნისა, რომელიც სწავლის დაწყებისთვის ეტაპობრივად იქნება შემუშავებული და დამატებული საბიბლიოთეკო მასალებში.

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით “Front-end დეველოპმენტი“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიიღწევა დაგეგმილია კოლეჯში არსებული მატერიალური რესურსით, რომლის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი იქნა ელექტრონული სახით, ვიზიტის დღეს. პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულების მიერ განსაზღვრულია 5 აუდიტორია. დარგობრივი მოდულების განხორციელდება დაგეგმილია N14 აუდიტორიაში, სადაც პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის განთავსებულია მაგიდა, სკამი და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ასევე აუდიტორიაში არის კარადა, დაფა, „ჭკვიანი“ დაფა, 20 კომპიუტერი/სამუშაო ადგილი ორ-ორი მონიტორით პროფესიული სტუდენტისთვის. N14 აუდიტორია განკუთვნილია მხოლოდ პროგრამისთვის „Front-end დეველოპმენტი“ და წარმოადგენს B/C გარემოს. დანარჩენი აუდიტორიების დატვირთვა კი, მათ შორის მოდულისთვის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ გათვალისწინებული N17 აუდიტორია (სადაც განთავსებულია შესაბამისი აღჭურვილობა ინტეგრირებული მოდულისათვის, ასევე ოთახში არის გამწოვი და წყლის ნიჟარა) დააკმაყოფილებს მისი სხვა პროგრამის მიზნებისთვის გამოყენების მოთხოვნას, ასეთის საჭიროების შემთხვევაში. კოლეჯში განთავსებულია ინტეგრირებული მოდულის „სპორტი“ ფარგლებში თემატური ბლოკებიდან შერჩეული მაგიდის ჩოგბურთისა და ლაშქრობის შესაბამისი ინვენტარი. პროგრამისთვის განსაზღვრული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში განთავსებულ კომპიუტერებსა და შესაბამის აუდიტორებში. დაწესებულების წარმომადგენლის შეფასებით, ელექტრონული რესურსის რაოდენობა აღემატება მატერიალური რესურსის რაოდენობას. ასევე კოლეჯი თანამშრომლობს საკანონმდებლო მაცნესთან და მასწავლებლებს აქვთ მიმართვის საფუძველზე მიმდინარე ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, კოლეჯი გეგმავს

OpenBiblio სისტემის დანერგვას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “Front-end დეველოპმენტი“ საპროგნოზო ბიუჯეტი შედგენილია ინტეგრირებული მიდგომით და ინტეგრირების გარეშე, ცალ-ცალკე. რენტაბელობის ზღვარი ინტეგრირებული მიდგომით პროგრამაზე შეადგენს 7 პროფესიულ სტუდენტს, ხოლო ინტეგრირების გარეშე - 6. შემოსავალი მოიცავს ვაუჩერულ და პროგრამულ დაფინანსებას, ხოლო ხარჯები განაწილებულია პროფესიული განათლების მასწავლებლების ანაზღაურებაზე, სასწავლო მასალასა და ნედლეულზე, ადმინისტრირებაზე, საქონელსა და მომსახურებაზე, ასევე ორ-ორჯერ არის მითითებული სხვა ხარჯი ორივე ბიუჯეტში, ორივე შემოსავლის წყაროს მიხედვით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „Front-end დეველოპმენტი”

ექსპერტის განცხადებით, სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ გადაწყვეტილება 2025 წლის 18 თებერვლის N170491 ბრძანებით დირექტორის მიერ დამტკიცებული “Front-end დეველოპმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების თაობაზე ეფუძნება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან 2025 წლის 12 თებერვალს წარდგენილ და ამავე წლის 13 თებერვალს თანხმობა მოპოვებულ (MES 3 25 0000148873) დასაბუთებას. 2025 წლის 20 იანვრის N13 მიზანშეწონილობის შესახებ კომისიის სხდომის ოქმი წარმოადგენს პროგრამის დამატების ინიცირების დოკუმენტს, სადაც დატანილია მიზანშეწონილობის დოკუმენტში მოყვანილი, ინიცირებასთან თავსებადი ინფორმაცია. აღნიშნული ოქმით დადგენილია პროგრამის დამატების მიზნით პროცედურების ადმინისტრირების გადაწყვეტილება და ამის თაობაზე დირექტორის ინფორმირება. ამავე კომისიის 17 თებერვლის N14 ოქმით კი პროგრამის სრული პაკეტი შეფასებულია დადებითად ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ, რის საფუძველზეც 2025 წლის 18 თებერვლის დირექტორის მოადგილის სამსახურებრივი ბარათით პროგრამა წარდგენილია დირექტორთან დასამტკიცებლად. პროგრამა შემუშავებულია სასწავლო პროცესის მენეჯერის კოორდინაციით, პროგრამის ხელმძღვანელის უშუალო ჩართულობით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “Front-end დეველოპმენტი“ შემუშავებულია ამავე სახელწოდების პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე, რითაც განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. წარმოდგენილი კორექტირებული პროგრამით (კოლეჯის დირექტორის ბრძანება 2025 წლის 13 მარტის N275809) განსაზღვრული წინაპირობები შესაბამისობაშია სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან. რაც შეეხება ჩარიცხვის პროცედურებს, „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 8 ივლისის N75 ბრძანებით და შესაბამისობაშია „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის“ 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესსა და პირობებთან. კოლეჯს, დირექტორის 2021 წლის 31 დეკემბრის N247 ბრძანებით 2018 წლის 2 მაისის N34 ბრძანებაში ცვლილების შეტანის გზით, დამტკიცებული აქვს „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომელშიც აღწერილია A, B და C გარემოს მახასიათებლები და განსაზღვრულია მათი გამოყენების პირობები. მეთოდოლოგიის 1-ლი მუხლის მე-6 პუნქტი განსაზღვრავს აღნიშნულ გარემოებში სამუშაო ადგილების რაოდენობას, რომელიც წარმოადგენს ამავე მეთოდოლოგიის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი პარამეტრებიდან ერთ-ერთ ქვეპუნქტს - „ა“ და რომლის მიხედვითაც დაანგარიშებულია ზღვრული ოდენობა „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე “Front-end დეველოპმენტი, ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი საერთო რაოდენობის დასაბუთებაში“. დანარჩენი „ბ), გ), დ)“ პარამეტრები დაკმაყოფილებულია, ვინაიდან „ბ)“ ხანგრძლივობა არ წამოადგენს შემზღუდავ ფაქტორს, „გ)“ პროგრამა არ საჭიროებს პრაქტიკის ობიექტს და „დ)“ წარმოდგენილი განმახორციელებელი პერსონალის დანართში მითითებული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა საკმარისია მოთხოვნილი ჯგუფების/სტუდენტების რაოდენობისთვის.

ექსპერტის განცხადებით, კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროგრამა დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით - 2025 წლის 18 თებერვლის N170491 (ცვლილება - კოლეჯის დირექტორის ბრძანება 2025 წლის 13 მარტის N275809). დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს. პროგრამის სახელწოდება - "Front-end დეველოპმენტი" იდენტურია მისი შემუშავების საფუძველი სტანდარტისა. ამგვარად, ის შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. პროგრამაში "Front-end დეველოპმენტი" განსაზღვრულა პროგრამის სახელწოდება, სტანდარტის შესაბამისად მოცემულია მიზნები, მისაღწევი სწავლის შედეგები, კრედიტები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია. შეფასების მიმართულებები და სწავლების მეთოდოლოგია განსაზღვრულია მოდულებით. პროგრამის ძირითადი სასწავლო პროცესი სრულდება 65 კვრაში, რასაც მოსდევს საკვალიფიკაციო გამოცდის და დამატებითი შეფასების კვირები, სულ 69 კვირა; ინტეგრირებული ზოგადი მოდულების კრედიტების რაოდენობა შეადგენს 30 კრედიტს. პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობას განსაზღვრავს პროფესიული საგანმანთლებლო სტანდარტი, ხოლო გადაწყვეტილებას ამ შესაძლებლობის გამოყენების თაობაზე იღებს დაწესებულება, რასაც ასახვას პროგრამაში (მუხლი 4) და ამ მიზნით აყალიბებს დისტანციური სწავლების განხორციელების პროცესის ეტაპს, პროცესში ჩართულ პირთა მოვალეობასა და პასუხისმგებლობებს, ასევე დისტანციური სწავლებისა და შეფასების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებს (მუხლი 8). ამავე ბრძანებით დადგენილია პირობა - „დაუშვებელია ინტეგრირებული მოდულების დისტანციური ფორმით განხორციელება". პროგრამის სასწავლო გეგმაში, როგორც ინტეგრირებით, ასევე ინტეგრირების გარეშე, გათვალისწინებულია შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდები, პროგრამის განხორციელების შუა ეტაპზე, ხოლო ზოგადი პირობები აღწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, შეფასების სისტემის ნაწილად (მუხლი 14). პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა დადგენილია 40 პროფესიული სტუდენტით (2 ცვლაში), მათ შორის 20 ინტეგრირებული პროგრამისთვის. პროგრამის Front-end დეველოპმენტი" დანართ N24-ში ჩამოთვლილია სულ 37 მასწავლებელი, აქედან 4 პროფესიული მოდულებისთვის, რაშიც არ იგულისხმება მოდული „დარგობრივი ინგლისური ენა Front-end დეველოპმენტისთვის" (აქედან 1 მხოლოდ 1 მოდულზე, 1 მხოლოდ 2 მოდულზე), 10 ზოგადი მოდულებისთვის (მათ შორის 4 დარგობრივი ინგლისური ენა Front-end დეველოპმენტისთვის), 1 ქართული ენის მოდულებისთვის, 22 ინტეგრირებული მოდულებისთვის. პროგრამის განსახორციელებლად მობილიზებული პერსონალის რაოდენობა საკმარისია პროგრამაზე მოთხოვნილი ორი ჯგუფისთვის (თითოეული 20 პროფესიული სტუდენტის შემადგენლობით) სწავლებისთვის. წარმოდგენილი სასწავლო გეგმის დატვირთვის მიხედვით, მოდულისთვის ყველაზე ნაკლები (ერთი) განმახორციელებლის დატვირთვა, ამ მოდულის ყველაზე მაღალი ინტენსივობით განხორციელებისას, ორივე ჯგუფში პარალელურად, არ აღემატება 40 საათს, რომელიც კოლეჯს, შრომის კოდექსის შესაბამისად, აღნიშნული აქვს „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში".

ექსპერტის განცხადებით, პროგრამის "Front-end დეველოპმენტი" დანართ N24-ში ჩამოთვლილი განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია სწავლის შედეგების შინაარსთან. საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ პროგრამის ხელმძღვანელ პირს უდასტურდება შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია. დაწესებულებას უდასტურდება სსსმ პირებისთვის პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა, რესურსების ადაპტირების შესაძლებლობა სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. კოლეჯში არსებული პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, არსებულ გამოცდილებას. კოლეჯი

აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. პროგრამის განხორციელება დაგეგმილია დამტკიცებული სასწავლო გეგმის შესაბამისად. სასწავლო პროცესის ორგანიზება დაგეგმილია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით, რათა მოქნილად მოხდეს რეაგირება შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესის წარმართვა დაგეგმილია სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით. ასევე პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება. პროგრამის "Front-end დეველოპმენტი" განხორციელება დაგეგმილია იმიტირებულ გარემოში, რისთვისაც კოლეჯს გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი. კოლეჯში შემუშავებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის მე-12 მუხლი, მე-15, მე-16 მუხლები უკავშირდება კოლეჯში დანერგილი პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემის ვერიფიკაციას. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებები კოლეჯში დაცულია და ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგის მიღწევის შესახებ გადაეცემა არქივს და ინახება მუდმივად". „კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერ დადასტურების მაჩვენებლები) განხილვას/ანალიზს კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და იყენებს მათ პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნებისთვის".

საბჭოს თავმჯდომარემ დარგის ექსპერტს მიმართა კითხვით, ხომ არ აჭარბებს განმახორციელებელი პირების სამუშაო დატვირთვა 40 საათს, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი სხვა პროგრამაზეც არიან ჩართულნი.

დარგის ექსპერტის განმარტებით, დატვირთვა 40 საათს არ აღემატება, რადგან ერთი პროგრამა უკვე მილევად რეჟიმშია და ახალი პროგრამის დაწყებამდე ძველი პროგრამა დასრულებული იქნება.საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კომენტარისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ ელოდებიან მინისტრის ბრძანებაში ცვლილებას, რომლითაც საშუალება მიეცემათ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ინტეგრირებული მოდულისთვის გამოიყენონ ვირტუალური ლაბორატორია, მათ აქვთ უკვე ეს ვირტუალური ლაბორატორია პროგრამულად ჩაწერილი, რომელიც არის ადგილობრივი სპეციალისტების მიერ შემუშავებული და ფარავს არა მხოლოდ პროფესიული პროგრამების მთელ საკითხებსა და შედეგებს, არამედ ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საკითხებსაც კი, მათ ამაზე მუშაობა სამი წლის წინ დაიწყეს, როდესაც შეხვდნენ ამ სფეროს წარმომადგენლებს. ამ ეტაპზე ვირტუალური ლაბორატორიის გამოყენება მხარდაჭერილია, როგორც ხარისხის ცენტრის, ასევე, უნარების სააგენტოს მხრიდანაც. მისი თქმით, თითოეული სწავლის შედეგი. რაც ქიმიასთან არის დაკავშირებული დეტალურად შეიძლება განხორციელდეს აღნიშნულ პროგრამაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯისთვის ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი" „Front-end დეველოპმენტი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 9
წინააღმდეგი : 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - კოლეჯს ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ (ს/კ: 200279448) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული Front-end დეველოპმენტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 2).**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 15:40 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	მასაჟის თერაპია
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მასაჟის თერაპიაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0915
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. მარნეული, 26 მაისის ქუჩა N80
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	127

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	Front-end დეველოპმენტი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქუჩა N44
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	20
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90